ცნობის ფურცელი

№ 2116 კვირა, 6 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2116

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372,

ამ ნომერში ექვსი გვერდია

„ცნობის ფურცლის" შემდეგი 2117 №-რი გამოვა ოთხშაბათს 9 აპრილს

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-107 №-რი.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები პეტრუშა მაკაროვისა. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—12)

წარმოდგენა 46—8. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ორშაბათს, 7 აპრილს, 1903 წ.

✦ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✦

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

✡ დაკლებულის ფასებით ✡

I

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. და 7 სურათად დენიერისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ დან 8 მ-მდე, პარტერი 40 კ-დან 2 მ-მდე, ამფითეატრი 50 კ-დან 1 მ-მდე, გალერეა 20 კ-დან 35-მდე. შეგირდებისათვის ადგილები—40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ოტელო", „მურად ფაშა", „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" და სხვ. რეჟისორი ვ. გუნია.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

წლიური კრება

დანიშნულია 1903 წ. 20 აპრილს დილის 10 საათზე, ს. კუხში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა,

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება,

3) შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა,

4) გამგეობის მოხსენება მომავალ წლის ოპერაციის შესახებ,

5) სესხის აღების ნება რთვა,

6) დამტკიცება მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვისა და

7) არჩევა გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ამხანაგობის გამგეობა:
თავმჯდომარე ვ. მდივანი.
წევრი ერ. კაწმარაშვილი.
გამგე ნ. წერეთელი.
(ნ. 5—3)

გაიღო მამადავითის გორაზე პირველ აპრილიდან

ბაღი-რესტორანი

«განდეგილი»

არის საუცხოვოდ მოწყობილი სამზარეულო, მომზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები.

მიიღება „ზაკაზი" დიდი სადილის გასამართავად. ფაიტონით მომსვლელთ შეუძლიათ მობრძანდნენ კოჯრის და აგრეთვე ოქროყანის გზებით.

პატივისცემით რესტორანის პატრონი ტარასი ივანეს ძე ფარჯანაძე

(2—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გოდერძიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯოჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ა. მუღდინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. გოდერძიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

შ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. ხოვოლდევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუდმივი ექიმი ვ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ხაჩინაშვილის, №-21. (აფხაზის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ტფილისი, 6 აპრილი

ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე! ჰყვიროდნენ მღვდელთ მთავარნი და მწიგნობარნი: აღიღე ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარ-აბბა!

წინაღუდგნენ და შეიძულეს იესო, რომელმაც კეთილი და სიყვარული მოუტანა ქვეყანას, და შეიყვარეს და დაიცვეს ბარ-აბბა, მეშფოთე, ავაზაკი და კაცის მკვლელი.

ძოწეული შემოსეს იესოს, რომელმაც ჭეშმარიტება ამცნო ქვეყანას და გული გაუთბო ყველას მოძმისადმი სიყვარულით, ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე, სცემეს შოლტით და სატუსაღოს კარი გაუღეს ბარაბბას, რომელიც შფოთისათვის და კაცის კვლისათვის შეგდებულ იყო საპყრობილესა.

ჯვარს აცვეს იესო ნაზარეველი, უბრალო და უდანაშაულო, და თავისუფლება მიანიჭეს ჯვარს საცმელს ბარ-აბბას...

კაცობრიობის ცხოვრება სავსეა ასეთის მაგალითებით. ბევრჯელ დაღვრილა სისხლი უბრალოთა, ბევრჯელ უწამებიათ და ეკლის გვირგვინი დაუდგამთ სიმართლისათვის წამებულთათვის...

მაგრამ კაცობრიობა სასოწარკვეთილებას მაინც არ ეძლევა და ყოველ წელიწადს სიხარულითა და იმედით ეგებება ქრისტეს აღდგომას. სწამს, რომ დადგება დრო, როდესაც განხორციელდება ქრისტეს მცნება, როდესაც სიყვარული დამკვიდრდება კაცთა შორის.

როდის აღსდგება ქრისტე?

სიცოცხლის დიდებულმა ძალამ, რომელიც ზამთრის დროს სულგანაბული აქა-იქ იმალებოდა, ჯერ კიდევ სუსტად მოზარდ ათქვირებულ კოკრებსა, წარსულის წლის დამპალ ფოთლების გულ-მკერდში ნემსებივით ამოსულ ბალახებსა, ნაზად მოჩურჩულე, თან-და-თან ადიდებულ ნაკადულის ხმაურობასა, ლაჟვარდოვან ცის ღიმილსა და ტოროლის წკრიალა ხმაში იჩინა თავი. აქა-იქ ისევა ჰგდია ყინულის სუდარის ნაფლეთები, მაგრამ იმ ნორჩ ჯგუფს, რომელიც დიდებულმა ძალამ განახლებისამ დედა-მიწის გულიდან წარმოშობა,—ეს მკვდარი საფარი ყინულისა ველარ აშინებს. მზე—ეს ძლიერი მოკავშირე ამ ნორჩ ამწვანებულ რაზმთა—მრავალ ათასოვან მხურვალე სხივებს უძლვნის იმათ. ყინული-კი ველარ უძლებს, ნელ-ნელა დნება, ჰქრება, ჰშორდება დედა-მიწის პირს, გზას აძლევს სიცოცხლეს და თითონაც, ნორჩთა მიბაძვით გაამაყებული, მხიარულის ხმაურობით მიერეკება თავისსნაკადულს ქვემოდ, ხეობისაკენ. მთრთოლვარე ხის კვირტები, აწრიალებულ ჰიანჰველათა სოროები და ტყის ეკალ-ბარდის დამპალ გროვათა შორის თავ-წამოყოფილი ია—ყველა ერთსა და იმავე ჰიმნს უმღერს გაზაფხულს, ჰიმნს განახლებას, ჰიმნს ცხოველ-მყოფელ მზის სხივებს...

— გზა, სიცოცხლე მოდის! და დედა-მიწის გულში მოწოლილ მედგარ ძალის წინაშე იხსნება ეს გული და გზას აძლევს ახლად ამწვანებულ მოზარდ სიცოცხლეს.

⁂

მთელი ათას ცხრაასი წელი ჩასძახის ადამიანთა გულს დიდებული და მედგარი ძალა—ჩასძახის ქრისტე. პირველ დღიდანვე, როცა იგი ადამიანთა ჰერქვეშ გამოცხადდა, შეუწყვეტლად ჰქადაგებს დიდებულს, თვისის სიმარტივით უჩვეულებრივო და საღმრთო დიდებამდე ამაღლებულს უბრალო ჭეშმარიტებასა. ათას-ნაირი მოძღვრება შემოუღიათ იმის მოსვლამდე და შემდეგაც, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შესძლო იმ დიდებულ უბრალო ახსნამდე მისვლა, იმ ადამიანთა გულის სიღრმემდე, იმ ბროლივით გამჭვირვალე სიწმინდესა და უმანკო მდგომარეობამდე მიღწევა, რომელსაც არავითარი განმარტება არა სჭირიან. ცივისა, თავ-სამტვრევ ტეზისებითა და თავით-ბოლომდე გადაჭარბებულ დოქტრინულ სულით გაჟღენთილ, ან კიდევ თანამედროვე პედაგოგთა მაგვარ საზიზღარისა და საზიფათო საჭიელით კი არ მიუახლოვდა ხალხს დიდებული მასწავლებელი, არამედ პირდაპირის გზით ეგებებოდა კაცობრიობას, იმ გზით, რომელიც მას ადამიანთა გულამდე მიიყვანდა, მიდიოდა აუჩქარებლად, დიდებულის სახითა და მიმოხვრით, მაგრამ იმ დიდებულისა, რომლის მეუფება არა სოფლისა ამისაგან არს. იმის სახეზე უზომო სათნოებით გამოჰკრთოდნენ ღრმა მწუხარების გამომეტყველი თვალები. ცივი, დოქტრინულის სულით გაჟღენთილი როდი იყო მისი მშვიდობიანი სიტყვა, როცა იგი ლაპარაკობდა დიდებულ სიყვარულისა, ყოველთა მიტევებისა, მოწყალებისა, სათნოებისა და მოთმინების შესახებ. თავის დიდებულ მოძღვრების ყველა ეს თესლი ქრისტემ მტკიცეს ხელით დასთესა ადამიანთა გულში. თესლი აღმოცენდა, ღრმად გაიდგა ფესვები ადამიანის სულში, რომელიც ცოტ-ცოტაობით იცლიდა წინანდელს დაძველებულს ქერქს სიბნელისა და უვიცობისას. თანდათანობით იცლიდა და აქამომდე კიდევ ვერ შესძლო ამ უძველესის ქერქის შემოცლა.

ქრისტე-კი კვალად განაგრძობს თავისს დიდებულს შრომას და გულს, რომელიც არ გაიხსნება იმის წინ, კვალად ჩასძახის და ასევე ჩასძახებს იმ დრომდე, ვიდრე ეს გული არ გადაიხსნება და არ განიმსჭვალება იმ ჭეშმარიტისა და ღრმა რწმენით, რომ თვინიერ მოყვასის სიყვარულისა, თვინიერ ძმათა შეწყალებისა, თვინიერ ქრისტეანულ ყოვლად მიტევებისა არა არს და არც შეიძლება იქმნეს ადამიანისთვის კეთილ-დღეობა, არ შეიძლება ქვეყნად დამყარდეს ბედნიერება. და როდესაც ადამიანნი შეიგნებენ ამას, მაშინ თითონვე ენერგიულად შეუდგებიან თავიანთ ყოფა-ცხოვრების გადაკეთებას, მოუწყობელ ცხოვრების მოწყობას და სრულიად გადააგდებენ თავიანთ ცხოვრებიდან იმას, რასაც ეხლა ურიგდებიან იმიტომ, რომ მათს გულს სიბნელე გადაჰფარებია. მაშინ კაცთა გულში დადგება ნამდვილი ბრწყინვალე და მოცქრიალე გაზაფხული და სული ადამიანისა გამოიბრძმედების.

და ადამიანთ გულაღილად და სიხარულის გრძნობით მაშინ შეუძლიანთ უთხრან ერთმანეთს:

— ღიაბ, ქრისტე აღსდგა!

დ. ყიფიანი

ა ღ დ გ ო მ ა

სიტყვა ქმნილი უფლისა ივდითის მიერ სახლისა ისრაელისა მიმართ.

ძვრა იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა, ვითარცა ძაძა ბალნისა, და მთოვარე ყოვლადთურთ იქმნა, ვითარცა სისხლი. ვარსკვლავნი ცისანი გარდმოცვივდნენ ქვეყნად, შეძრწუნდა ქვეყანა და საფუძველნი მთათანი შეშფოთდნენ და შეიძრნენ. ცა წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი და იყო ელვანი და იხმა ხმა ქუხილთა. გარდმოდიოდნენ მდინარენი, წარჰღვნეს ყოველი და იქმნა აოხრებულ მიწა მშვენიერი.

მტარვალმან აღმოსავლეთისამან აღადო მახვილი თვისი ერსა ზედა, უსჯულომან და წარმართმან დასწვა ქალაქი დიდი და შეჰმუსრა ჩჩვილნი და მოხუცნი, წარხოცა ქვეყანა იგი და მისცა საკვდავსა ნაწევარი ერი. დაასხა მძორები საჭმელად ფრინველთა და ხორცნი წმინდანი მხეცთა ქვეყანისათა. დაათხია სისხლი მათი, ვითარცა წყალი, და განმრავლდნენ ქვრივნი და ობოლნი უფროს ქვიშისა ზღვისასა.

მოუძლურდა და სტიროდა ერი ჩემი და ბედსა მწარესა ჰკიცხავდა და გოდებითა და სულ-თქმითა უბანთა აღავსებდა...

ხოლო შეიწყრა ცა, შავ იქმნა მზე. გარდმოვიდა თოვლი მაღლით, ცივითა შემოსა ველ-ფერი და იყო ყინვა ჩრდილოეთისა და დაჰბერა ქარმან სასტიკმან. გახმა ხე ვენახისა, არღა გამოიღო ნაყოფი თვისი და იყო სიმშილი დიდი ერსა შინა. შიშველ იყო ერი, მშიერი იყო ერი და წარეკვეთა მას სასოება და იდვა იგი უძრავად, ვითა მკვდარი სარეცელსა-ზედა...

სდუმდა ცა, არა გოდებდა ერი. ცრემლთა ჩემთა არა დაიტირნეს და გულმან ჩემმან არა იგლოვა იგი.

* *

დაეცა ერი, ჩირქითა და წყლულითა დაიფარა სხეული მისი და დაეკარგა მას მსგავსება ადამიანისა. ნაცართა და მტვერთა იყრიდა თავთა, განშორდა სოფელს და დაჯდა მდინარის პირას და სტიროდა ჩუმად, აღმპყრა ხელნი ცისკენ და ბაგენი მისნი არა მეტყველნი მოწყალებას სთხოვდნენ ღმერთსა:

„შენ ხარ უფალი მოქმედი წყალობისა, ურიცხვ და უთვალავ არს დიდება შენი; გიგალობ შენ კეთილის მყოფელსა, მხოლოდ წყალობასა შენსა ვესავ, იხარებდეს გული ჩემი მაცხოვარებითა შენითა. მოუპყარ ყური შენი და ისმინე ჩემი, მომაქციე და ნუგეშ მეც. მიწყალე მე, ღმერთო, რამეთუ დამთრგუნა მე კაცმან და მარად დღე ჩამაგდო ჭირსა. ღმერთო, ღმერთო, მამაო საბაოთ, ისმინე გოდება ჩემი, შემუსრე თავი გუშაპისა და ნუ მისცემ სულსა ჩემსა მხეცთა. იხსენ სული ჩემი სიკვდილისაგან, თვალნი ჩემნი ცრემლთაგან და ფერხნი ჩემნი ბრკოლისაგან. განხეთქე აბჯარნი და განაგდე უღელი ჩემგან. ნუ ამაღლდების მტერი ჩემი ჩემზედა, მოიხედე და აღმადგინე მე.

უფალო, ისმინე ხმა ტირილისა ჩემისა, ისმინე გოდება ჩემი!.. ისმინე გოდება ჩემი!....“

მუხლ-მოდრეკილი ვიდექი მეც სენაკსა შინა და ცრემლითა ვავედრებდი ღმერთს ტანჯულსა ერსა. და მივაპყარ თვალნი ჩემნი ცასა და ველოდი ნიშანსა, მაგრამ არა ვიხილე რა, არცა რა ესმა ყურსა ჩემსა.

სდუმდა...

* *

აჰკიდა ერმა ისრაელისამან თავი, შემოიკლიჯა ტანზე სამოსელი მწუხარებმან და ჩაჰხედა გულსა და სულსა თვისსა.

„გლახაკ ვარ და დავრდომილი, იტყოდა: მატლი ვარ და არა კაცი, საყვედრელი ვარ და შეურაცხმყოფელი კაცთა. ყოველნი, რომელნი მხედვიდეს, მეცინოდეს მე. იქმნა გული ჩემი ვითარცა ცვილი დადნობილი მუცელსა შუა ჩემსა, განხმა ვითარცა კეცი ძალი ჩემი, და ენა ჩემი სასასა ჩემსა აქვს.

„შეგვაგი ქედი ქვეშე ბაბილონისასა, გვმცნე მას, შემჭამს საკმეველსა და აღუშენე ტაძარნი მაღალნი ბაალსა. ჭეშმარიტებას არა ვიტყვი, ისწავლა ენამან ჩემმან თქმა ტყუილისა და გაიხრწნა და წარწყდა კაცობა ჩემი. ვარ მტერი ძმისა ჩემისა და მოყვარე მტრისა ჩემისა. არა აღსდგება სული ჩემი სამართლისა და კეთილისათვის, შიშმა საზარმა შემიპყრო და მომიკლა ყოველი სურვილი თავისუფლებისა...

„გლახაკ ვარ და დავრდომილი! მატლი ვარ და არა კაცი!..“

ვინ მისცეს თავსა ჩემსა წყალი და თვალთა ჩემთა წყარო ცრემლთა და ვტიროდე ერსა ჩემსა დღე და ღამე.

* *

იჯდა ესრეთ ისრაელი მწარე ფიქრებით გატანჯული და ძალმა სინანულისამ განკურნა იგი და წარმოსდგა ფეხზე, მიმოავლო თვალი ყოველსა არსსა და უნებურად წარმოსთქვა: „მე ცხოვრება მინდა ადამიანისა“, და იხილა სიცოცხლე თვის არსებაში და გაშალა მკლავები და შეეხო თვისსა თავსა და მხნედ წადგა წინ ფეხი. „საკუთარისა ძალით მოიპოვებდე ცხოვრებასა შენსა“, ეტყოდა იდუმალი ხმა.

ცხოვრება ჯერ შორს ბრწყინავდა, შრომითა და ოფლით უნდა მიახლოვებოდა მას ძე ისრაელისა, ხოლო ხედავდა ცხოვრებას და ცხოვრება არა გაურბოდა მას, და ტკბილმა იმედმა და სასოებამ აღუვსო გული და ხმამან ბედნიერი მომავალისამან მოაშუქა მწარე აწმყოს და შეაშრო ცრემლნი მტირალსა ერსა...

* *

დღეს ქრისტე აღსდგა. ბრწყინვალებამან მისმან განფანტა დრუბელნი ბნელნი, მოთამაშე მზის ელვარებამ მშვენიერებით მორთო მთელი ქვეყანა. შორს ჩვენგან ყოველი უიმედობა და სასოწარკვეთილება. ვერაფერი ვერ მოჰკლავს ცხოვრებას!..

ქრისტე აღსდგა!
მკითხველო, აღსდგეთ ჩვენც სულით!

სიტყვა.

მესსია

(ლეგენდა)

I

„...და ქვეყანა შეიძრა; და კლდენი განსქდეს; და საფლავნი აღეხვნეს; და მრავალნი გვამნი შესვენებულთა წმიდათანი აღსდგეს; და გამოვიდეს საფლავთ მათით“...*)

და მრავალ გვამთა თანა ერთად შეირყა გვამი იაფეტ თავ-დადებულისაც, რომელიც წუთისოფელს გამოესალმა ბრძოლის ველზე. იბრძოდა თავ-განწირულად რომაელების წინააღმდეგ იაფეტი და მკლავს არ ჰზოგავდა, თუმცა მისი მრავალი მოძმე გაიქცა; მკლავ ჩართული ბრძოლა იყო. ხლმების წკრიალი ცას სწვდებოდა. იხევდა უკან იაფეტი. უთვალავი მტერი ზედ მოდიოდა, მაგრამ მაინც ზურგის ჩვენება არ უნდოდა. თავის მოძმეთაც, რომელიც კი შეჰრჩა და არ გაიქცა—ძალიან ცოტაღა შეჰრჩა—ამხნევებდა. გარს შემორტყმისა არ ეშინოდა, რადგანაც მუვალი კლდეები ჰფარავდნენ, და თამამად, ხმლის ტრიალით უკან იხევდა...

— იაფეტი, უკან ხომ უფსკრული გვიძევს!...—დრო-გამოშვებით ხმლის ტრიალში ეუბნებოდნენ მოძმენი.

— მამაცად დაიხიეთ უკან!... თითო ნაბიჯის უკან გადადგმაზე თითო რომაელი შეკალით!...—უპასუხებდა იაფეტი.

ასეც მოქმედობდნენ მისი მოძმენი. თვით იაფეტი ხომ უკან გადადგმულს თითო ნაბიჯს ორ-სამ წინ ჩაკლულ რომაელს გაიმძღვარებდა...

— იაფეტ, შესდექ, თორემ უკან წაღებულ ფეხს ნაბიჯის გადასადგმელად მიწას ვერ უპოვი და უფსკრულ ღრეში ჩაილეწები!... მიჰმართეს მოძმეებმა იაფეტს, როდესაც ნაპრალს მიადგნენ, და სიკვდილის ზარმა შეიპყრო...

— ნუ შეჰშინდებით, ძმებო, ხმლის ტრიალით გადადგით უკან ნაბიჯი და, იცოდეთ, ეს ამოდენა მტერი საფლავის ქვად წაგვეხურება, რომელსაც მესსია შეჰმუსრავს და აღგვადგენს!...

რომაელებმა დასცეს ყიჟინი. ტალღად მოაწვა იაფეტს და მის მცირე რიცხვოვან მოძმეთ. უკანასკნელად განკრიალდა ხლმები და შემდეგ კი დაბნელდა ცა მეომართათვის. აღარც ერთი არ გადარჩენილა: არც ებრაელი და არც რომაელი. ყველამ სამარე უფსკრულში ჰპოვა. იაფეტმა მართალი სთქვა: „ეს ამოდენა მტერი საფლავის ქვად წაგვეხურება“-ო...

მტერმა წამარხა იაფეტი და მისი ასიოდე მოძმე, და ყველანი კი ყვავ-ყორანმა, ქარმა და წყალმა დაიტირა და დანარჩენი წესი აუგო...

...და, აგერ, განვლო ასიოდმა წელმა და დღეს „კლდენი განსქდეს; და საფლავნი აღეხვნენ; და მრავალნი გვამნი შესვენებულთა წმიდათანი აღსდგეს“... და იაფეტის საფლავის კარიც განიღო.

სწრაფად ზე წამოიჭრა და უნებურად შესძახა: „მხნედ იყავით, ძმებო! მტერს არ შეუშინდეთ და“...

მაგრამ ხმა ჩაუწყდა. მიყრუებულ ღრეში მარტოდ-მარტო იდგა, და მის ხმას მხოლოდ ღრემ გამოსცა პასუხი...

„მტერი... მოძმენი... ეს ღრე“... დაბნევით უსიტყვოდ ეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ პასუხი არსად იყო...

ჯერაც არ შეწყვეტილა ყიჟინი, უკანასკნელი გმინვა; ჯერ ისევ ყურებში უდგას. მაგრამ ეს სიმარტოვე?!... სად არიან დანარჩენნი?!...

II

... და მესამესა დღესა ხმა გაისმა, რაიც ელვასავით მოეფინა იერუსალიმს და მის არე-მარეს: „ქრისტე აღსდგაო“!... „ჭეშმარიტადო“ ამბობდნენ მორწმუნენი და გაბრწყინვალებულის თვალებით და მცინარე ბაგით აუწყებდენ განურჩევლად ყველას: დიდს და პატარას, ქალსა და კაცს ამ სასიხარულო ამბავს...

ამავე დროს მეორე ხმაც: „მოწაფეთა მისთა მოიპარეს სხეული მისი და სადღაც დამარხესო“—არა ნაკლების სისწრაფით მოეფინა იერუსალიმს და მის არე მარეს...

ორივე ხმა ერთსა და იმავე დროს იაფეტსაც შემოესმა. უკვე შეიტყო იაფეტმა, როდესაც იერუსალიმში შემოვიდა თავის ნაცნობთა და ნათესავთა სანახავად, და ვერავინ ნახა, თითქმის გიჟად ჩასთვალეს იაფეტი, რომ წარსული საუკუნის ამბებს კითხულობდა, რაც დაემართა. იგი მოსულა საიქიოდან და სრულებით გაჩუმდა. თავისუფლებისა ებრაელთ აღარც-კი ახსოვდათ. მომსწრენიც კი ველარავინ ჰპოვა იაფეტმა. რომაელნი გამეფებულიყვნენ ურიასტანში. ისიც შეიტყო, რაც ამ უკანასკნელ კვირაში მომხდარიყო: „იყო ვინმე“—უამბეს ასე იაფეტს—„იესო ნაზარეველი, რომელიც თავის თავს „მესსიას“, „ძეს ღვთისას“ უწოდებდა, რომელიც ჰქადაგობდა: „ამა ტაძარსა დავანგრევ და სამსა დღეს კვლავ აღვაშენებ“ და ამავე დროს იძახდა: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთს“, რომ იგი იესო ნაზარეველი ჯვარს აცვეს, ვითარცა ავაზაკი, და დაფლეს გევსიმანის ბაღში...

— მესსიას უწოდებდა თავის თავს და ჯვარს აცვეს?—შეაწყვეტინა სიტყვა იაფეტმა მოსაუბრეს.

— დიაღ, დიაღ ჯვარს აცვეს და დაფლეს კიდევაც. გუშინ განუტევა სული..

— დაფლეს?!. მესსია დაფლეს?! თუ დაფლეს, უცნობო, მაშ... მაგრამ იგი მესსია უნდა ყოფილიყოს, რომ მე მკვდრეთით აღმადგინა... მე...

— შენ მკვდრე...თით...— შეშინებული იაფეტის მოსაუბრე პირქვე დაემხო...

მხოლოდ ეხლა შენიშნა მოსაუბრემ, რომ იაფეტი სულ სხვა იერისა იყო და გარდმოცემას ემსგავსებოდა.

— ადექ... ადექ, მეგობარო!..—წამოაყენა მოსაუბრე იაფეტმა:—მაგრამ ეს ვერ გამიგია, ამიხსენი, ასეთი...

— ჭეშმარიტად იგი ძე ღვთისა ყოფილა!.. —სიტყვა აღარ დაათავებინა მოსაუბრემ იაფეტს.

— მეც მაგრე მგონია, და მაშ ჯვარს როგორ აცვეს ძე მღვთისა, მესსია?!. როგორ მოხდა...

— წავიდეთ, თაყვანი ვსცეთ მის საფლავს! —წამოიძახა მოსაუბრემ და სწრაფ გევსიმანიის ბაღისკენ გაეშურა.

იაფეტი კი ღრმად ჩაფიქრდა. ცხადზე უცხადესი იყო, რომ იგი მკვდრეთით აღსდგა; მაგრამ ვერ აეხსნა, თუ იგი რად მოკვდა. „მესსია შეჰმუსრავს და აღგვადგენს“ ამ სიტყვებით ჩაიმარხა უფსკრულში, ამ რწმენამ გადაადგმევინა უკან—უფსკრულისკენ—ნაბიჯი, და დღეს კი, აგერ, რა ესმის: „მესსია ჯვარს აცვეს და დაფლესო“, თუმცა იგი მართლადაც აღსდგა.

— მესსია არ მოკვდებოდა და ვერც დამფლავდნენ! აღგზნებით წამოიძახმ იაფეტმა. მან უნდა იხსნას, აღადგინოს სამეფო იეგოვისა!

III

...და, აჰა, მესამესა დღესა შემოესმა იაფეტსა: „ქრისტე აღსდგაო“.

— ჭეშმარიტად!..—წამოიძახა გულწრფელად იაფეტმა, თუმცა ამავე დროს მეორე ხმაც ჩაეწვეთა ყურში, და განიზრახა, იხილოს მესსია.

მაშინვე გევსიმანიის ბაღისკენ წავიდა, მთელი დღე იქ დაალამა. შემოღამებამაც ვერ დაძრა იქიდან. მაინც ბინა არსად ჰქონდა. სადაც შემოაღამდებოდა, იქ იყო მისი სახლი. მამლებმა იყივლეს, რომ მაშინ შემოესმა:

— იაფეტ, ვის ელი?!

იაფეტი მაშინვე ზე წამოდგა და ჰრქვა:

— უფალო, შენ!

— თუ მე, აჰა, მიხილე, შენ წინ ვსდგევარ!..

— მესსია, მიმსახურე!.. ვნახე, რომაელნი დაჰპატრონებიან ურიასტანს; დაუმონავებიათ იგი... ველი შენს ბრძანებას. ჩემი ხმალი უთუოდ იქვეა—უფსკრულში. ეხლავე წავალ და სულ გადავთხრი და ამოვიღებ, რომ იეგოვის სამეფო აღვადგინო. მიბრძანე!..

— ვინც ხმალს აიღებს, ხმლითავე მოკვდება.

— მაშ რით გავანთავისუფლებთ იერუსალიმს?

— ხომ ჰნახე იერუსალიმი?!. მოვა დრო, და ქვა-ქვაზედაც აღარ დარჩება. მთლად მტერი შეჰმუსრავს იერუსალიმს.

— შემდეგ აღადგენ, განა?!.

— აღარას დროს!..

— მაშ შენ სად იმეფებ? ხომ წერილ არს იერუსალიმი აჰყვავდების და შიგ მესსია, ძე მღვთისა იმეფებსო.

— ჩემი სამეფო აგერ იქ არის! ცაზე მიუშვირა ხელი მაცხოვარმა; და აქ კი კაცთა შორის ქვეყანასა ზედა დავამყარებ სათნოებას და მშვიდობას. აღარ იქმნება არც ელლინი, არც რომაელი და აღარც იუდეველი; ყველა ძმა იქმნება...

— მაშ მაგისთვის მოხველი ციდან, თუ კი მართლა იქიდან მოხველი, რომ იერუსალიმი შეჰმუსრო?.. არა!.. შენ მესსია არა ჰყოფილხარ!.. მესსიამ უნდა აღადგინოს იერუსალიმი, და ებრაელთ იმეფონ ქვეყანასა-ზედა...

— გეუბნები: ებრაელნი განიბნევიან ქვეყანასა-ზედა...

— სცრუობ!.. მოვა მესსია და ყველას შემოიკრეფავს და აღადგენს იერუსალიმს, თუ მართლა ასრულდა შენი სიტყვები, და იერუსალიმი შეიმუსრა. მაგრამ ეგაც მართალი არ არის. შენ... მაცდური ყოფილხარ!..

— მაშ, იაფეტ, იცოცხლე საუკუნოდ, იხეტიალე და შენი თვალითვე იხილე ყოველივე... ჰრქვა უფალმა და უხილავ იქმნა...

„...და, აჰა, მის შემდეგ იაფეტი დადის ქვეყანასა-ზედა—ასე თავდება ლეგენდა: და ისევ ცოცხალია. ყოველივე იხილა: იერუსალიმი შემუსრეს, ებრაელნი განიბნენ მთელი ქვეყნის ზურგზე; აღარ არსებობს სამეფო მათი; მაგრამ იმედი მაინცა აქვს იაფეტს, რომ მოვა მესსია და იხსნის ებრაელთ, აღადგენს იერუსალიმს, და იმას კი, რომელმაც უწინასწარმეტყველა და ყოველ საუკუნის დასრულებისას ჯოჯოხეთურის ხარხარით მთის წვერიდან ზეცას უყვირის: „სადაა შენი სამეფო, კაცთა შორის სათნოება და მშვიდობა?!.“ მაგრამ ამ დროისა მთელი საქრისტიანო ასტეხს ზარის რეკვას, სიხარულით გაიძახის: „ქრისტე აღსდგა!..“ „ჭეშმარიტად!“ და იაფეტის ხარხარი იკარგება, ქარწყლდება...“

შ. არაგვისპირელი.

---

*) სახარება მათესი, თავი 27, მუხლი 51—53.

„ხმალ მოდი, დღეს უქმეა“...

(სააღდგომო სურათი)

I

თებროს კვლავინდებურად ვეღარ მოუხდა ქალაქში ჩასვლა, რომ წვითა და დაგვით გადანარჩენი სურსათი ჩაეტანა და აღებულ გროშებით სააღდგომო სანოვაგე ეყიდნა.

სასტიკმა ზამთარმა და გაჭირვებულმა ცხოვრებამ თებრო წელში ვეღარ გაჰმართა და ლოგინი მოანახვინა.

ქვრივი თებრო ისე გადამკვდარი იყო თავის ობლებზე, რომ ყოველგვარ შიმშილ-წყურვილს ითმენდა და თავის დღემასუნე-კი ჰზოგავდა, ოღონდ საბედნიერ-დღეთ ქუდუსებს თვალი არაზე დაჭირებოდათ და პირი გაეხსნილათ.

— მარტო მე ვწუხვარ, რომ ბეჩავებს დაგხვდებიან ხოლმე ბედნიერ-დღეებს, მაგრამ, მადლობა ღმერთს: ჩემზე უბედურები კიდევ სხვები არიან,—თავის-თავად ჩიოდა თებრო:—ბავშვებ-კი ტირიან, ესვალ-ბიც-კი სულს იდგამს, ჩვენ-კი ტანჯვაში ვლევთ სულსა...

— შენ გენაცვალოს დედა,—ჰუკმართა თებრომ თავის თორმეტ-ცამეტის წლის ქალს:—ეხლა შენა ხარ ჩვენი მარჩენალი: ჩვენი სოფლის ბიჭები და ქალები ქალაქში ჩავლენ საბედნიერ-დღეთ საჩუქრით და შენც ჩაჰყევი. ჩვენი ბაღჩის თხილი რომ გაჰყიდო, ის შიდაც და შენი ქონა ქათამო... ვინიცობაა ამიდუ შენ პატარა დამშვებს, პირი გაიხსნილონ...

II

ბაზარში, სადა მთელის მიდამოს ხალხი თავს იყრის და ჩარჩები დღისით ზუნმენ ხოლმე, სოფლელებსაც მოეყარათ თავი. თებროს ქალი თამროც იქ იყო.

თამროს ეტყობოდა, ჩანჩი ხილი გაეყიდნა. მას ჰქონდა უკვე და თავისი ქონება მაგრა გულში ჩაეკრა, თითქო სწორი არავინ წაართმევსო, თითქო ჯერ ერთმეოდა განხვრებოდეო...

— გოგო, ჯვიდი ქათამს? რა მოგცე?

— ორი აბაზი!—ესხელნად მიუგო თამრომ.

— ორი აბაზი ქორიდა, აბაზი მოგცე?

— როგორ იქნება! ვინინა არ მოგცემა... დღის, ... ვინმე ვინიზა უნდა გაყიდოს.

თამროს გულ-უბრყვილო ტიტინზე ხალხს ღიმილი მოუვიდა. შემოეხვივნენ.

თამროს ხან ერთი გამოართმევდა ქათამს და ხან მეორე. თამრო ყველას ჰპასუხს აძლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი აბაზისა რა იცის! — განგებ გაილაზდანდარა ერთმა გაქონიანებულმა ვაჭარმა. — არ ეტყობა ჭირიანის, სულსა ჰლევს..

— დედა არ მომიკვდება, კარგა მეოფვია... ჭირიანს ხელში რა დამაჭერინებდა?!.

— ჭირიანი კი არა და ფეხებში რევმატიზმა აქვს! — ვითომდა გაუსწორა მეორე ჩარჩმა. — აბა ძირს დასვი, თუ მუხლებში ქარები არა აქვს...

— ქარები კი არა, — ალალმართლობდა თამრო: — თუ კი ჩემმა დედამ აქაური ერთი მედუქნე მოარჩინა, ამას კი ვერ მოარჩენდა, ავად რომ იყოს!..

ხალხის ჟლავი-ჟლუვილთან თამროს ირგვლივ სიცილ-ხარხარიც მოისმოდა. წითელ-ყვითელ ძონძებში გახვეული თამრო ისე სჩანდა ამ ბრბოში, როგორც ქედანი ყვავ-სვავებში.

— მაშ სანაძლეო დავდოთ, თუ შენმა ქათამმა გაიაროს? თუ ფეხი გადადგას, ქათამიც შენი იყოს და ორი აბაზი ფულიც...

თამრომ სიხარულით ქოჩორა ძირს დასვა. ტალღა წავიდ-წამოვიდა და ბავშვს ქათამი ხელიდან გაუსხლტა.

თამრომ ჩანახი დააგდო და ქათამს გამოუდგა თავ-გადაგლეჯილი.

— ვაიმე, ჩემო ქოჩორა! დედა ხომ მომკლავს!

ბრბო-კი კასკასებდა, მაგრამ მალე ეტლმა გაიგრიალა და საზარელი ხმა მოისმა: „ეტლმა ბალღი გაიტანა, პატრონი ვინ არის, უშველეთო“!.

Ш

აღდგომა დღეა.

თითქო ყველას ქალაქში სიხარულის აღდგომა გასთენებოდა. არსაიდან მოისმოდა კვნესა-ოხვრა. ქუჩებსა თუ სახლებში მხიარულებდნენ. ყველგან დრიანცელისა და სიმღერის ხმა ისმოდა. ქალაქის დარდი-მანდი ბიჭები ეტლებს დააქროლებდნენ იქით-აქეთ.

თებრო ამ დროს საავადმყოფოს კარებთან ატუზული იდგა. არც ჭამისათვის სცხელოდა, არც სმისთვის. გონება შეშლილი კითხვის კითხვით ჩამოსულიყო ქალაქში თამროს სანახავად.

— დედი, ქრისტე აღსდგა, რას დაღვრემილხარ აგრე? — მიესალმა ვიღაც შექეიფიანებული ვაჭარი: — აქ რასა დგეხარ, წადი სახლში, დრო გაატარე! ჰა, წითელი კვერცხი, შვილები გეყოლება, ჩემ მაგივრად მიეცი, მიულოცე...

— აქა მყავს, შვილო, შვილი...

— ვა, აქ რა უნდა? აკუშერკაა, დოხტურია შენი შვილი? აქ ხომ ბალნიცაა?!

— ვაი ჩემ მოსწრებას! არც კი მაჩვენებენ, არ ვიცი ცოცხალია თუ... ამბავი ამომიტანეს, ფაიტონს მოჰყვაო...

— ნუ გეშინია, დედი, ღმერთი მოწყალეა, კარგად იქნება!.. ეგ სლუჩი მეც გავიგე, მაგრად დაუკარ მაგ კარების ზარი, გაგიღებენ...

ცახცახით და კანკალით რეკავდა თებრო ზარსა.

— ვინა ხარ? — გამოისმა მრისხანე ხმა, — ჩამოსახრჩობნი, არც დღეს გვასვენებენ!..

— თამრო მაჩვენეთ, თქვენი ჭირიმეთ! — მუხლზე დაჩოქილმა შესთხოვა თებრომ კარის კაცს, როცა კარი გაუღო.

— დღეს უქმეა, ხვალ მოდი...

და კარები მოიხურა. თებროს დაპა-დუპით ცრემლი ჩამოსდიოდა...

ჭუშელი განო

სიკოს სახლობა...

(ესკიზი სააღდგომოდ)

I

დიდ ოთხშაბათს, ღამის თერთმეტ საათზე, სიკოს სახლობა მაგიდას შემოსხდომოდა და ხმა გაკმენდილი ვახშმობდა. სუფრის თავში ბაიყუშივით წამომჯდარიყო სიკოს სიდედრი, ბოლოში — დედა მისი, მარჯვნივ — სიკოს ცოლი მაიკო, ხოლო მარცხნივ — თვით სიკო. ჭერში ჩამოკიდებული ლამპარი უდარდელად დაჰნათოდა ზევიდან ამ ოთხ, ჯვარედინად მსხდომ ადამიანს, რომლებიც ზარმაც ხარებივით იღოღნებოდნენ და, თავთავისს ფიქრებში წასულნი, ტუჩებს უგემურად აწკლატუნებდნენ. სასადილო ოთახის ერთ-ერთ კუთხეში ბაყაყივით ჩამჯდარიყო გოგო ტასა და ქირიან ქათამივით თავსა ჰქინდრავდა. ჭუჭყიანს, ჩაწილულ თმა წინ წამოშლოდა და დრო გამოშვებით ისე დაიხრიტინებდა ხოლმე, გეგონებოდათ ახრჩობენო. მაგრამ მისს ხრიტინს ყურადღებას არავინ აქცევდა: სიკოს უკბილო სიდედრი ციყვივით იქნევდა ყბებს და თუმცა ამავე დროს ტუჩების მოკუმვასაც სცდილობდა, მაგრამ ხან-და-ხან პირიდან მაინც გადმოუვარდებოდა ხოლმე ნამცეცები და ეს კი მოხუცს ძალზე აბრაზებდა. ამის დამნახავი მეორე ბებერი (სიკოს დედა), რომელიც უფრო ჰარმაკად გამოიყურებოდა, თავ-დაჭერით იღიმებოდა და თვალებს ეშმაკურად ატრიალებდა. მაშინვე შეატყობდით, რომ ეს ორი ბებერი ერთი მეორის მოქიშპე უნდა ყოფილიყო. ცალ იდაყვზე დაყრდნობილი მაიკოც უგემურად იღეჭებოდა. თვალები ერთის წერტილისთვის მიეშტერებინა, მაგიდაზე გაწვდილის მეორე ხელით პურის გულს ასორსოლებდა და, ფიქრებში გართული, კოპებს იკრავდა. მარტო სიკო იჯდა უსაქმურად. ორიოდე ლუკმის გადეჭვის შემდეგ, მან უკვე დაივახშმა, მაგრამ სუფრიდან ადგომას ვერა ჰბედავდა. ეშინოდა თანამესუფრეთა მდუმარება არ დაერღვია. ხშირად მომხდარა ხოლმე უსიამოვნება სუფრიდან სიკოს უდრო-უდროვოდ ადგომის გამო და დღეს ხომ ერთი ალიაქოთი ასტყდებოდა, რადგანაც დედა-კაცები დილიდანვე ნაჩხუბარნი იყვნენ და ცოტა რამ იყო საკმარისი, რომ ხელ-ახლავ აყაყანებულიყვნენ.

სიკო ლოდივით იდო სკამზე და ნაღვლიანად ათვალიერებდა მოვახშმეთ. თითოეულის სახის გამომეტყველება, თითოეული მათი ყბის მოქნევა, და თვით საინზე უდიერად დანარცხებულის მოხარშულ ისპანახის გუნდა და ხახვ-დაჭრილი კირკალიც-კი, რომელიც დილიდანვე ხელ-უხლებელი დარჩენილიყო — ნათლად აგონებდნენ სიკოს რა ჩხუბი და დავიდარაბაცა ჰქონდათ ამ დედაკაცებს სადილობისას. არამც თუ სკამზე, ნემსებით სავსე პარკზედაც კი სიკო გათენებამდის იჯდებოდა, ოღონც კი ხელ ახლად აღარ გაეგონა მათი უთავბოლო ჩხუბი!

კედლის საათმა თორმეტი დაჰკრა და მისი უგემური ცხიკინი ლახვარივით მოხვდა სიკოს გულს. „ეს წყეული უთუოდ ამიყაყანებს ამ დედაბრებსაო“, გაიფიქრა სიკომ და ძალა-უნებურად ყურები აცქვიტა. მართლაც მაიკო ფიქრებიდან გამოირკვა და სააღდგომო სამზადისის შესახებ ლაპარაკი დაიწყო.

— დღეს ოთხშაბათი... ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა, ე. ი. აღდგომა! — ჩამოსთვალა თითებზე მაიკომ და ქმარს მიუბრუნდა: — ახლა რას აპირებ, ყმაწვილო, პასკები არ უნდა გამოვაცხოთ? თვალ-ამოკილვით დაეკითხა მაიკო.

სიკოს პირში ნერწყვი გაუშრა, პასუხი ვეღარ მოახერხა. მას შემდეგ, რაც ოჯახს მოეკიდა, არც ერთი აღდგომა, არც ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა სიკოს, რომ უჩხუბრად გადარჩენილიყოს, რადგანაც სადღესასწაულო სამზადისი ყოველთვის აურზაურს და ვაი უშველებელს ასტეხდა ხოლმე სიკოს ოჯახში. ყველაზე დიდ უსიამოვნებას კი სწორედ პასკების სახლში გამოცხობა იწვევდა ხოლმე და მათი სახელის გაგონება ყოველთვის ჭირის ოფლსა ჰგვრიდა სიკოს.

— თქვენ გეკითხებით! — დაცინვით გაუმეორა მაიკომ.

— შენი ღვთის გულისათვის, პასკების სახლში გამოცხობას თავი დავანებოთ... რა ბევრნი ჩვენა ვართ? სამი ოთხი მანეთის პასკა დედა-ბუდიანათ დაგვაკმაყოფილებს! — ღრეჭით უპასუხა სიკომ.

— არა, პასკის გამოუცხობლობა შეუძლებელია! მე ძველ ჩვეულებას ვერ ვულალატებ! — სიტყვა ჩაურთო სიდედრმა.

— ოლოლო, ჩემო ბრძენო, ერთი ბეწვა ყაირათი რომ არ იცი! ოთხ მანეთად სახლში იმდენ პასკას გამოვაცხობთ, რომ მთელი თვე გვეყოს. ან რა თავში ვიხლი კანდიტერისაგან შეთითხნილ პასკას! — გაცხარდა მაიკო.

— შენზე უკეთესად ისინი აცხობენ. შარშან არ იყო, რომ შინ გამომცხვარი პასკა ძაღლებს გადავუყარეთ? გაუბედავად გაახსენა სიკომ შარშანდელი ამბავი.

— შარშან რომ გაგვიფუჭდა, შენი ბრალი იყო, ვაჟბატონო, შენი! შენ რომ ხელი წაგეშველებინა და ცომი რიგიანად დაგვეზილა, ჩვენ პასკა არ გაგვიფუჭდებოდა! — გესლიანათ სთქვა სიდედრმა.

— მერე ძილის გუდა ვინღა იყოს? მაგას მზა-მზარეულზე უყვარს ყელის მოღერება! — დასცინა მაიკომ.

სიკო ისე საცოდავად დაიღრიჯა, რომ მტერსაც კი შეებრალებოდა.

— ჩემი შვილი ხაბაზი ხომ არ არის? — წაექომაგა სიკოს დედა — თუ კაცმა ხელი არ იცის, პასკას ისე როგორ გამოაცხობს, ან კი განა წვალებათა ღირს? — ქლოშინით დააბოლოვა სიტყვა სიკოს დედამ და მეორე დედა-შვილი ამრეზით ჩამოათვალიერა.

ამათ ხმა არ გასცეს, მხოლოდ თვალით გაჰგმირეს. არის ისეთი შეხედვა, ისეთი ტუჩის აბზეკა, რომელიც სიტყვებზე უფრო ძლიერათ გამოხატავს ხოლმე ერთისაგან მეორის მძულვარებას და სწორეთ ეს მძულვარება და ზიზღი გამოიხატა მაიკოსა და დედა მისის თვალებში. სიკოს დედამ სავსებით იგრძნო რძალ-მძახლის გულისთქმა და, მთლად წამოჭარხლებული, მზათ იყო აფთარივით დარევოდა იქ მყოფთ, მაგრამ ამ საქციელით ცოლისა და სიდედრისაგან დაბრიყვებულ შვილს უფრო გააბოროტებდა და თავი შეიკავა, მხოლოდ სამაგიეროთ ზიზღი აღიბეჭდა გამხმარ სახეზე. სიკო მუშტის ოდენათ მოიკუნტა. იგიც კარგად ჰხედავდა მძახალთა და რძალ-დედამთილ შორის არსებულ სიმძულვარეს, გრძნობდა, რომ ერთ-ერთის მხრის გამოსარჩლებით, იგი საქმეს უფრო წაახდენდა და ამიტომ ენას იკვნეტდა.

— მე არა ვიცი რა! პასკა სახლში უნდა გამოვაცხო... ხვალ დილისთვის თავდარიგი დაიჭირე! — მტკიცეთ წარმოსთქვა მაიკომ და რომ სიტყვა აღარ გაეგრძელებინა, გოგოს გადასძახა:

— ტასა, შე გაგლეჯილო, აეთრიე, სუფრა აალაგე.

გოგო-ტასას ქალბატონის ბრძანება არ გაუგონია. გორგალივით დახვეული გულის ძილს მისცემოდა.

გოგო, არ გესმის, გოგო, შე გასაქრობო! — დაუყვირა ახლა სიკოს დედამ და გულის ბრაზი ამ ყვირილით გახეთქა.

გოგო ყურსაც არ იბერტყდა. მაშინ კი ეცნენ ტასას, დაუწყეს ჯაჯგური და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე გონებაში ჩაიგდებდნენ. ამ პატარა ამბავმა თუმცა ბევრი ლანძღვაგინება და ხმაურობა გამოიწვია, მაგრამ მაინც ააცდინა სიკოს სახლობა ერთმანეთთან წაკინკლავებას და ეს კი დიდ ბედნიერებათ ჩასთვალა სიკომ. იგი ფეხ აკრებით შეიპარა საწოლ ოთახში და ვიდრე დედაბრები კვნესა, ვიშ-ვიშით გოგოს არიგებდნენ, თავიც მოიმძინარა.

II

ჩვეულებრივ კინკლაობასა და საქმის მოწესრიგებაში ჩვენ ნაცნობ დიასახლისებს ხუთ-შაბათიც ხელიდან გაუფრინდათ და პასკისათვის ცომის ზელვას მხოლოდ წითელ-პარასკევ საღამოთი შეუდგნენ. ნალაქლაქევ-ნაჩხუბარნი, ჯაგარ-აშლილ ტახებივით კრუსუნებდნენ და თითქოს ბაბილონის გოდოლს აგებენო: ენა ერეოდათ, ბუზღუნით ასრულებდნენ თავიანთ საქმეს. ყველაზე გულ-მოსული სიკოს დედა იყო და რადგანაც არა სჯეროდა დანარჩენთა ხელოვნება პასკის გამოცხობაში, ტუჩ-აკვრით შეჰყურებდა იმათ ფუსფუსს. ფუსფუსი კი ძალიან ბევრი დასჭირდათ. სამზარეულოდან სასადილო ოთახში სათითაოთ შემოალაგეს ხელსაწყობი: კასრი, საწურავი, ერბოთი და რძით სავსე ქვაბები, გათქვეფილი კვერცხით სავსე თაბახი, საპურიცომე, ფილი თავისის ქვით, საინები, ლანგრები, კოვზები და ათასი ხარახურა. მოიმარჯვეს კასრი, გახსნეს პურის ცომი, ჩაუძახეს შიგ მასალა, მოუკიდეს საფანელი, დაიმკლავეს და მოჰყვნენ ზელვას. პირველ ყოვლისა მაიკომ ჩაჰყო კასრში ხელები, მაგრამ დიდხანს ვერ შესძლო ზელვა. იგი გამოსცვალა დედა მისმა, დედა მისი მძახალმა და რამდენსამე ხანს ამ გვარათ იცვლებოდნენ. ტახტზე წამოწოლილი სიკო შუბლ-შეკრული შეჰყურებდა მომუშავეთ და თან გულში ლანძღავდა დიასახლისების ულონობა-ახირებასა.

— მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლიან! — წამოიძახა სიკოს დედამ, ცომიანი მკლავები კასრში ჩაიფხიკა და მორგვივით მიეგდო ტახტზე.

— ჰამა ხომ შეგიძლიან! წაიბუტბუტა მაიკომ და სიკოს მიჰმართა.

— აბა ახლა შენი რიგია, ყმაწვილო. ჩქარა დაზილე, თორემ ცომი წაგვიხდება!

ისე თქვენ მტერს მოსწყდეს წელი, როგორც სიკოს ემცხეთა, მაგრამ რა მეტი გზა ჰქონდა! ზლაზნით წამოდგა, მეფურნესავით დაიმკლავა, გადაეყუდა კასრს ჩაჰყო შიგ ხელები და... შეუდგა ნაძალადევ მუშაობას. დათვივით ატყაპუნებდა კასრში ხელებს და საავგურე ტალახივით ზელდა გაფუვებულ ცომს, სკამზე ჩამომჯდარი მისი სიდედრი მიკიოტივით შეჰყურებდა სიძეს და მუშაობას ასწავლიდა. მკლავებ დაკაპიწებული და თავზე ხილაბანდ წაკრული მაიკო კი ჯალათივით თავზე დასდგომოდა და მოსვენებას არ აძლევდა:

— კიდევ, კიდევ... ღონივრათ დაზილე! — მალი მალ დასძახოდა ოფლში გაცურვებულ სიკოს.

— მოვკვდი, ადამიანო, ვეღარ ეყო ამ ოხრათ დასარჩენსა? — ბუზღუნებდა სიკო და თან ოფლის მოსაწმენდათ გიჟი მოზვერივით თავს აქეთა და იქით მკლავებს უხახუნებდა.

— ფუი, ფუი! — ფშვინავდა სიკოს მაგიერათ ზელვით განაწვალები ცომი.

— ცოტა კიდევ... ცოტა... არა გიშავსრა! — დაჰსისინებდა სიდედრიც.

— არა მარა და დარდუბალა თქვენ თავს — ილანძღებოდა გუნებაში სიკო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცომში ხელებს ატლაკუნებდა.

სასაცილო სანახავი იყო ამ დროს სიკო! თმა აბურძგვნილი, თაგვივით ფქვილსა და ცომში ამოგანგლული, სტვირის გუდასავით დარგვალებულიყო და ორთქლ-მავალივით ქშინავდა.

— რა კაცი ვარ, განა რა მქვიან, რომ ბურთივით მათამაშებენო? — ჰფიქრობდა სიკო და სიბრაზისაგან აღარ იცოდა, რა ექმნა?

რა კაცი იყო სიკო? უბრალო, გარემოებისა და წამხედურობით გამოთაყვანებული მომაკვდავი, ერთი იმ ასი-ათასთაგანი, რომელნიც ხმა-ამოუღებლად დამორჩილებიან ბედს და უაზროთ აჩანჩალებენ თავიანთ სიცოცხლეს. სიკო ერთი იმათგანი იყო, რომელნიც გარეთ ყურ მოჭრილი ყმები არიან ძლიერთა ამა სოფლისათა და დილით საღამომდის კატასავით თვალებში შესცქერიან თავისს უფროსებს, ელაქუცებიან, ქათინაურებით ართობენ მათ, ხოლო სახლში, ოჯახში, ითმენენ ყოველ გვარ დამცირებას, ყოველგვარ ძალ-მომრეობას და ურიგდებიან ათასგვარ საყალბეს, მარტო იმიტომ, რომ დაიცვან ოჯახის „სიწმინდე“ და ქვეყნის ყბაში არ ჩავარდნენ.

— აი ყოჩაღ, აი მალადეც! — ღიმილით დასძახოდა მაიკო მუშაობით გახურებულ სიკოს. სიკო კი სიბრაზისაგან გულზე სკდებოდა.

— კმარა! — გამოსცა ფირმანი სიდედრმა. სიკო ერთი კიდევ შეიკურთხა და ფიცხლავ ხელი აუშვა მუშაობას. ცომით მოთხუპნული, გაფითრებული სკამზე ბარბაცით დაეშვა და თვალები მილულა. თავ-ბრუ-ჰქყვიალა ესხმოდა, მაგრამ დედა-შვილს მისთვის არა სცხელოდათ, იგინი ცომს ულოლიავებდნენ და ახლად დაბადებულ ოქროს ქოჩრიანივით სათფუნებელში ახვევდნენ.

უცბათ გაისმა ხვრინვა სიკოს დედისა. გეგონებოდათ იერიქონის საყვირებს უკრავენო, ისე გრიალებდა მუთაქაზე პირქვე დამხობილი დედა-ბერი და ათასნაირ ხმებს გამოსცემდა. დედა-შვილმა ერთმანეთს გადაჰხედეს და თითქმის ერთ ხმათ დაცინვით წამოიძახეს:

— ხვალ აბძანდება და მზა-მზარეულს მიირთმევს! ნეტავი მაგას, რომ ოხერი მუშები ჰყავს!...

— რა პასკები გვექნება, რა პასკები! წამოიძახა სიკომ, რომ დედა-შვილის ყურადღება სხვა საგნისაკენ მიემართნა, თუმცა კი გულში დარწმუნებული იყო, რომ გროშათ არ ეღირებოდნენ. რას იზამთ: წვრილმან გულისთქმათ წვრილმანობიც თანა სდევს და ყბადაღებულ კაცს უეჭველათ წყალი წაიღებს!

Ш

თითქმის მთელი ღამე უყარაულეს ცომს, მაგრამ იგი ჯეროვანათ არ გაფუვდა და ათჯერ გადაზელისა და შეზავების შემდეგ შაბათ ნაშუადღევს ძლივს ჩაასხეს ყალიბებში და მეზობლიანთ ფურნეში შესალაგებლათ გაჰგზავნეს. ახლა მაიკო და მისი დედაც ნათლათა გრძნობდნენ, რომ პასკები არ ივარგებდნენ, გულიც მოსდიოდათ, მაგრამ ჯერჯერობით სდუმდნენ და ბოლმას გულში იტრიალებდნენ, თუმცა კი მიზეზს ეძებდნენ, რომ ბრაზი გადმოენთხიათ.

სიკოს დედა კარგათა ჰხადავდა ყველა ამას და გაქვავებულიყო. არ უნდოდა დიად დღესასწაულის კვირაძალზე გული გაეშფოთებინა, იგი თავისს თავს უფთხილდებოდა. გარდა ამისა რძალ-მძახლის მარცხი, ცოტა არ იყოს, ახარებდა კიდეც.

სიკოს მთელი დღე თვალი არ გაუხელია. ღამე ნატეხი, ღაღალუღ დაქანცული, რუმბივით იდო და ეძინა. იმას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პასკების ბედი. გოგო-ტასა მეზობლისას პასკების საყარაულოთ იყო დატოვებული. მაშ ვიღაზე იყრიდნენ გულის ბუხარს ჩვენი ნაცნობი მანდილოსნები?

დაღამდა, სახლის წმენდა,—ფხეკამ დიასახლისები შეიყოლია და ვერც კი გაიგეს, რომ კარგა დრო გასულიყო. ვერც შეამჩნიეს, რომ გოგო-ტასას უკვე მოეტანა პასკები, ჯუჯა-კაცებივით ჩაემწკრივებინა სამზარეულოში, მაგიდაზე და ერთ ხანს ნაღვლიანათ ათვალიერებდა დაგომინჯებულ ნაზუქებს.

— ქალბატონო, პასკები სულ დამწვარან! —მოკრძალებითა და თანაგრძნობის კილოთი შემოიძახა სასადილო ოთახში, სადაც ამ დროს ქალბატონები სველის ღრუბლით სასადილო მაგიდას ასუფთავებდნენ.

ელვასავით მოჰხვდათ გულში მაიკოსა და მისს დედას გოგოს სიტყვები. აფთარივით მივარდნენ და დასჭყივლეს.

— როგორ თუ დამწვარან? მერე სად იყავ, შე ძაღლის წიწილო, რატომ ყური არ უგდე!

— მე რა ვქნა, ქალბატონო, ფურნეში ხომ არ შევძვრებოდი!

— კიდევ ხმას იღებ, შე წუწკო, წუწკის შვილო!?—დაუღრიალა მაიკომ და ხორცები მოაჩქმიტა. საწყალი უდანაშაულო გოგო დაიხლაკა, ძროხასავით შეჰღრიალა და კარში გავარდა.

— შემოიტანე, აქ შემოიტანე! — მიაძახა მაიკომ,—თორემ სულ ბუწუწებიდან გაგცლი!..

ატირებულმა ტასამ სლოკინით შემოალაგა პასკები და მაგიდაზე გაამწკრივა. პასკები ხმიადებს უფრო ჰგავდა, არც მაღლა აეწიათ და ძალზე მჟავე გემოცა ჰქონდათ, გარდა ამისა თავები ნახევრობამდის დასწვოდათ. უყურეს, უყურეს დიასახლისებმა თავისს გაფუჭებულ საქმეს და ისევ ტასას დაესივნენ. წიოდა და კიოდა ტასა, უშვერის სიტყვებით ილანძღებოდნენ დედა შვილი, ხოლო სიკოს დედა ქვეშ-ქვეშ იღიმებოდა.

მოყაყანე დიასახლისები სალიტანიო ზარის ხმამ გამოაფხიზლა და გოგოს დასარტყმელად ამართული ხელები ჩამოაშლევინა, ტასამ იდროვა და კვლავ გარეთ გამოვარდა, რომ დიად დღესასწაულის მახარობელ ზარის ხმისათვის შეეერთებინა თავისი ხმა მაღალი ტირილიც.

მთელი ქალაქი ახმაურდა, ამღერდა, გამოუთქმელ სიხარულს მიეცა, მხოლოდ გულხელ დაკრეფილი მაიკო და დედა მისი, დიდ ხანს დაჰყურებდნენ მჭადისავით დაკუტებულ და ფაშარ პასკებს....

ია ეკალაძე

4 აპრილი 1903 წ.

სიცოცხლე!?

ირაჟრაჟა. გამოღვიძებულ ბუნებას ყველა აღტაცებით ეგებებოდა.

გრილი ნიავი ცელქად დაძვრებოდა ფოთოლთა შორის, ეთამაშებოდა და ელამუნებოდა; ხან ყვავილთ გულს გადუშლიდა, მოსტაცებდა მათ ტკბილსურნელებას და მიმავალთ მიაგებებდა. ხან მიძინებულ ტბას გიჟივით ჩაუბერავდა და ახმაურებდა; ხან მინდვრად გაიჭრებოდა და ამწვანებულ მდელოს საამოთ აპეპელებდა. ხან ჭალაში აცურდებოდა, რომ იქ გრილად გარდაქცეულიყო, შემდეგ ქუხილით დედამიწისაკენ დაქანებულიყო და კლდე-ღრეებისთვის მომავალი განთიადის ამბავი ეუწყებინა.

სიცოცხლის ეშხით გატაცებული ბულბული სასიყვარულო გასძახოდა თავის ჩანგზე. ხან უეცრად შესწყვეტდა ამ საგზო საკრავს და თავისვე ჭანგებით გულ-ჩათუთქული კიდევ უფრო მწვავ ცეცხლს იკიდებდა. თავდავიწყებული სტიროდა და ქვითინებდა.

ბულბულის გალობით გაგიჟებული მწყემსი გულამოსკვნილი დაჰკვნესოდა თავის სალამურზე. გაშმაგებით დასრიალებდა ცის სივრცეში მერცხალი და აღტაცებით შეჰხაროდა დღის მომავალ სინათლეს.

მთის ანკარა წყარო, რომელიც ღამით ნანას უმღეროდა მიძინებულ ბუნებას, ეხლა მოჩუხჩუხებდა, მოთამაშობდა და წინწკლებით რთავდა ნაპირებზე მდგომ ყელმოღერებულ ყვავილებს და ბალახს.

ახმაურებული ბუნება რაღაც დიად და საოცნებო კონცერტს წარმოადგენდა... გაღვიძებული ქვეყანა სდუღდა და გადმოდიოდა; აღგზნებული გული საამოთ ფეთქდა და განთიადის მაცოცხლებელ მზის სხივებს მადლობის ჰიმნს უმღეროდა.

საერთო ჟრიამულში ჩაბმას ამ განახლება-გაღვიძების დროს მოკლებული იყო მხოლოდ პატარა ჩიტუნა. ის ეგდო სილაზე და ჭრილობიდან წვეთ-წვეთად სისხლი სდიოდა. სდიოდა და ჭლეკდა სილას და უნუგეშოდ შეჰყურებდა საერთო მღერას. სისუსტით თვალებს ხუჭავდა. უკვე წვეთის სისხლის მოკლება სიკვდილს უახლოვებდა. თვალებში ხვეწნა და მუდარა ჰხატებოდა. კისერი გადაეგდო და სიკვდილს ელოდა. ერთი წამიც და სამუდამოდ უნდა დაეხუჭა თვალები: ნისკარტი გაეღო, ფრთები და ფეხები აეკანკალდა—სულსა ღებდა. უცბად ბუჩქში რაღაც ხანმოკლე ხმა მოესმა. სიკვდილმა თავი შეიკავა, პატარა ხანს გრძნობა დაუბრუნდა ჩიტუნას! „ნუ თუ ეს სიცოცხლე? არ გინდა მოჰკვდე ამ საზარელ დროს, როდესაც მიძინებული ბუნება თვალებს იფშვნეტს, იღვიძებს და თავდავიწყებული უმღერს განთიადს „ქებათა ქებასა"? მომეც რაც უძვირფასესია შენთვის და სიცოცხლეს დაგიბრუნებ, მომეც ფრთები და გაგკურნავ".

— ხუმრობს ფერია!

იფიქრა ჩიტუნამ:

— განა სიცოცხლეზე ძვირფასი იქნება რამე!? ხუმრობს თორემ რათ უნდა ჩემი სიცოცხლე ეთქვა ფერიას, რომელსაც თითონვე მაქვს?!

— წაიღე, მოკეთევ, რასაც მთხოვ, ოღონდ ნუ მომაშორებ ამ საერთო ქვეყნიურ ლიტანიას, სული ჩამიდგი და მოკეთევ, რაც ძვირფასია ჩემთვის!

ფერიამ სასწაული მომქმედი კვერთხი შეახო ჩიტს და განკურნა. იგრძნო სიცოცხლე ჩიტმა და მთლად აღტაცებაში მოექცა: შეიფრთხიალა, უნდოდა აფრენილიყო, რომ სხვებთან ერთად დამტკბარიყო განთიადით, შესცქეროდა უსაზღვრო სუფთა მაცოცხლებელ ჰაერში, მაგრამ მოუცდა: ფერიამ ხელი სტაცა, [illegible] მოაგლიჯა და ფრთების დაჭრა დაუპირა.

— რას შვრები, ფერია?

— პირობის ასრულებას ვითხოვ, განა ის არ უნდა მოგეცა ჩემთვის, რაც უძვირფასესი გქონდა?

— არა, არა, ფერია! ნუ იქ მაგას! ნუ შემაჭრი ფრთებს! არ იცი, რომ მარტო ფრთოსანს შეუძლია დაუსრულებელ ცის სივრცეში ინავარდოს მაღლა, თავისუფლად?... უფრთობა ხომ მარხვა და უმოძრაობაა!... და უმოძრაობაც სიკვდილია! თუ ასეა, თუ არ მეპატიებდი, რად მომხიბლე აღთქმით, რად დამიბრუნე სიცოცხლე? არა, არა, ფერია! ფრთებს ვერავის ვერ დავანებებ!.. სჯობს მომკლა, ვიდრე სულით და გულით დანაზარდებული ქვეყნის მასხარად დავრჩე ამ სასწაულებით დიდებულ ქვეყანაზე!

ეს სთქვა ჩიტუნამ და კისერი გვერდზედ გადაუგდო—სიკვდილს ითხოვდა. შედგა ფერია, დაფიქრდა, თითქო რაღაც მოაგონდაო, სახე გაუბრწყინდა და, ღიმილით სიხარულით აღტაცებულმა, შეაგდო მაღლა ჰაერში ჩიტი და მიაძახა:

გასწი! გასწი! განვარდი თავისუფლების მორევში! იცოცხლე სრულის საფსებით, მხოლოდ გახსოვდეს კი, რომ არის, თურმე, კიდევ ისეთი რამ, რომელიც სიცოცხლეზედ უძვირფასესია!..

სა. ც—მე.

სიმღერა

აიწი, ნისლო, გამშორდი,
ნუ მიშლი თვალით ხედვასა:
მინდა ვუცქირო ჩემს სატრფოს,
მინდა ვუცქირო დედასა!..

—

მთაო, გაღმიშვი მაღალო,
ვნახო მშობელი ქვეყანა!
ისმის კიჟინა ომისა,
ჩემს ძმებს ბრძოლა აქვთ მტერთანა;
მეც მინდა სისხლი დავღვარო
თავის ძმა-მეგობართანა...

—

წყალო, შენ სითლა ამიჩნდი,
აღვევბული, მყვირალი?
გზაში ჩამიდეგ, არ მიშვებ,
ვით სისხლის მსმელი ფირალი!
ვერ ჰხედავ, არც გინდა ჰნახო,
გაღმა ვინ მიცდის მტირალი...

—

პირი შეგიკრავთ ერთ ურთში,
გსურთ გზა მომტაცოთ სავალი,
თან სცდილობთ მიჰმალ-მიჰჩქმალოთ
ჩემი თავ გადასავალი.
ცაშია მყვანან მოწმები—
შუქურ ვარსკვლავი, მრავალი...
ვაი, რომ დაბლა ვერ ვპოვე
გულის სალბუნო წამალი!..

გაჟ. ფშაველა

„სამკერვალოში"

(საალდგომო სურათი)

— ჰმ, როდემდის! როდემდის უნდა ვიტანჯო! ნუ თუ ჩემს წვალებას, ასეთს უსაზღვრო შრომა-ვარამს დასასრული არ ექნება?.. ნუ თუ ბნელ, სამგლოვიარო ძაძებში გახვეულმა ჩემმა ბედის ვარსკვლავმა ასე ხანგრძლივის სიბნელით უნდა მოიცვას მთელ ჩემ სიცოცხლის სარბიელი? ნუ თუ ერთხელაც არის არ გამიბრწყინდება და არ გამიღიმებს?!

„ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო", —მესმის საიდანაც უცნაური საიდუმლო ხმა. „შრომა ახალისებს ადამიანს, ავარჯიშებს იმის გონების, მიჰყავს იგი წარმატებისკენაო", ჩამომძახიან აქეთ-იქიდან. მჯერა, მჯერა, ბატონებო, რასაც მიბრძანებთ, ყველაფერი მჯერა! ვგრძნობ, გამოვსცადე კიდეც, მაგრამ... მაგრამ დღეს კი ყველაფერი გათავდა ჩემთვის! დღეს ჩემს დახრწნილ აგებულობას ფიზიკური შრომა აღარ ძალუძს, იგი დასუსტდა, დასნეულდა; შრომის მაგიერ წამალს ითხოვს, მოძრაობის მაგიერ სიმშვიდეს, წყნარ ცხოვრებას, მხურვალე ლოცვებში მთელ ღამეების გატარებას და მე კი, ოჰ ღმერთო ჩემო! ხორციელ ტანჯვას სულიერი ტანჯვაც დამემატნენ, ფიზიკურ ტკივილებს სულიერი მღელვარება, ჩუმი, გამოუთქმელი გულღვიძლის წვა და დაგვაორკეცებს...

„ჩემო ტკბილო დედავ!—მწერს იგი—ვგრძნობ, რომ დაგტანჯე, ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ შენს წინაშე, მაგრამ... მაგრამ რით უნდა გავიმართლო თავი, თუ არა ისევ ბედით!.. ჩემი ბედი ამას მიმზადებდა და კიდევაც ვემორჩილები... აქ ძლიერ სიცივეა... მე საზაფხულო ტანისამოსში ვარ, მაგრამ არა მიშავს რა. ჩემთან სხვებიც არიან, მხოლოდ ქართველი მარტო მე ვარ... მე შენი ობოლი, ობლად აღზრდილი და ობლადვე დარჩენილი შვილი... მაგრამ ნუ გეშინიან, დედის ჰირიმე, ვინ იცის, ეგებ კიდევ ვეღირსო შენს მკერდში ტკბილად მიძინებას, ალერს-ხვევნას, დედაშვილურს სიყვარულს"...

ოო, ღმერთო! რა დედის გულმა უნდა გაუძლოს ამ გვარ წერილებს! რომელი დედის გული აიტანს შვილის დაკარგვას და ისიც ჩემს მდგომარეობაში! სულ ოცის წლისა არა ვყოფილვარ, როდესაც ჩემი ამხანაგ-მეგობრები, ნაცნობ-ნათესავები „ბედნიერებას" მილოცავდნენ. შემნატროდნენ კიდეც, რომ კარგ ახალგაზრდა კაცს გავყევი ცოლად... მამა ჩემი მღვდელი იყო... ჩვენი წინაპრებიც ყველანი მღვდლები იყვნენ. მეც მღვდლის საცოლედ ვიყავ მომზადებული; ჩემი ცხოვრება წყაროსავათ მიმდინარეობდა... მაგრამ—დახედეთ!—აქაც ისევ ჩემი დამწვარი ბედი გაერია საქმეში... თუმცა ჩემს ქმარსაც სასულიერო სემინარიის კურსი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ მღვდელობას ისევ „ჩინოვნიკობა" ამჯობინა, ქალაქში გადმოსახლდა... ქალაქმა თავისი დაღი დაგვასვა... ქმრის სიკვდილის შემდეგ ხუთს შვილში ერთი და შემრჩა... ყოველ ღონის ძიების მოკლებულმა ამ ხელობას მოვკიდე ხელი; იმ დღეს აქეთ დღემდის ჰრა-კერვით ვირჩენ თავს, ვზრდი შვილს უცხოეთში. ვშრომობ და ვიტანჯვი, ვიტანჯვი, მაგრამ არ ვნანობ, რადგან მთელი ჩემი სიცოცხლე იმისია, იმას ეკუთვნის, ენაცვალოს დედა!..

დღეს ამ დასაწვავ საკერავს უზივარ, ვკერავ, ვმუშაობ!? ყველა ქრისტიანე ეკლესიაში მიეშურება, ღმერთის სადიდებლად ტაძრისკენ იჩქარის. ყველა მზადებაშია, ყველას რაღაც სიხარულის სხივი მოჰფენია, მე კი დამწვარ-დადაგული ამ ოხერ საკერავს ვუზივარ... გუშინ [illegible] სამოხვეველად ძლივს რამდენიმე წამი მოვპარე ჩემს თავს... დიახ, მოვპარე და კიდევაც დავისარჯე ამისთვის... გზაში მუშტარი შემხვდა, გამლანძღა, გამთრია .. „შენ დადიხარ, იქით-აქეთ დაბრძანდები, მე კი უტანისამოსოდ გინდა დამტოვოო!" მომაძახა წყრომით. ღმერთო, ღმერთო, რად მიღირდა იმ დღეს მარტო იმისი საყვედური?!

დღეს შაბათია. აი, საცაა კიდევაც დარეკენ... ღამის თერთმეტი საათია, ერთი საათიც და შეიქნება ზარების რეკა, გაისმის „ალსდგა ქრისტე და განიბნა მტერნი მისნიო" ალსდგა ქრისტე და გამხიარულდა ყოველი ქრისტიანე, მხოლოდ შენ, შენ, ჩემო შვილო, ვერ გხედავ გახარებულს, შენთვის არ არის გაზაფხული, შენსა და შენის დედის გულში ისევ ცივი შეუბრალებელი ზამთარია! მკაცრ სიცივით აკანკალებულს გრძნობებს ერთმანეთის დამტკბობელი, გამთბობი არსებანი არ ჰყვანან ახლოს. ისინი, დიდის მანძილით დაშორებულნი, ცალ-ცალკე იტანჯებიან, სტირიან...

აგერ, გააზშირეს კიდევაც რეკა... ვგონებ კიდევაც გამოვიდა წირვა და მე კი სამ-ოთხ საათს კიდევ ვერ გავათავებ!.. ფუი, წყეული იყოს შენი ხსენება, შენი მომგონი! არ მინდა, არ ვეძებ: ვეტყვი, ვერ მოვასწარ მეთქი! ისიც ხომ ქრისტეანეა, ისიც ხომ ადამიანია, ნუ თუ არ შემიბრალებს, ნუ თუ არ მომცემს ხელფასს?! არა, რას ვამბობ?! ის ხომ დიდის კაცის ცოლია; დიდ-კაცობა, მდიდრულად ცხოვრება ხომ სიბრალულის გრძნობებს უჩლუნგებს ადამიანს?! ხვალ სადარბაზოდ იწყებს სიარულს, ახალი ტანისამოსი თუ არ ექნა, ვაითუ გამიჯავრდეს, შემდეგშიაც აიღოს ხელი ჩემზედ, მერე? ჩემს შვილს რა უნდა გავუგზავნო, მე რაღამ უნდა მარჩინოს?! ოო, ღმერთო, ნუ მიწყენ! ჯობია, გათენებამდის ვკერო და გავუთაო! მაცხოვარო, მიხსენ და მაპატიევე! მთელი ეს ვნების კვირა დღე არ მძინავს და ღამე! შენც ხომ იცი, მეტი საშუალება არა მაქვს—შიმშილი მომკლავს, ტუსაღ შვილს შემიწუხებს...

მაშ ისევ ვკერავ, ისევ დავჯდები და სანამ არ გავათავებ, არ მოვეშვები... დიახ, არ მოვეშვები .. ძლიერ კი მეძინება, რა საშინელ სისუსტესა ვგრძნობ! ოო, რაღაც თვალებს მპარავს .. საკერავს ვეღარ ვუყურებ... სუ, ეს რა მესმის?! ნუ თუ ეს ცხადია, ეგებ ძილში ვარ, მაგრამ ასე ცხადად, ასე გარკვევით... ეს სულ ჩემი შვილის ხმა იყო! აი, აი, კიდევ მესმის:" ნეტავ რას სტირი, დედილო, ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ! მე აქ ვიგერებ ყვავ-ყორანს, თვალი მიჰირავს იმათკენ!" ეს ჩემი შვილია, მაგრამ ეს ვიღაა: „ტანისამოსი... ქალბატონი.. მზათ... აა.. რის... თუ არა?" ოჰ, ღმერთო ჩემო, ტანისამოსსა მთხოვენ,. მეკი ჯერ არ გამითავებია, მაგრამ ხომ არ გათენებულა!!

— აჰ!—შეკრთა უცებ და გამოეღვიძა... თუმცა ტანისამოსზედ არავინ არ მოსულიყო, მაგრამ გათენებით კი, დიდის ხნის გათენებული იყო...

თეოფ. ხუსკივაძე

უწესოებანი პეტერბურგის უნივერსიტეტსა და დედათა სამკურნალო ინსტიტუტში

„პრავიტელსტვენნი ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია:

პეტერბურგის დედათა ინსტიტუტში ჯერ ისევ თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში არა ჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდათ ინსტიტუტის ყურის მგდებელთ. აღელვების მიზეზი იმ წესების გამოცხადება იყო, რომელიც შეეხება გადასაყვან ეგზამენებს ინსტიტუტში. აღელვება თან და თან ძლიერდებოდა და 10 მარტს საანატომიო აუდიტორიაში უკანონო კრილობა მოხდა; შეიკრიბა 600-მდე ყურის-მგდებელი. დირექტორის და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დარიგებამ ნაყოფი ვერ გამოიღო და კრილობამ სამ საათს გასტანა. რადგან ყურის-მგდებელნი თავისას არ იშლიდნენ და იკრიბებოდნენ იმ აზრით, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ ინსტიტუტის საბჭოს მიერ შემუშავებულ და საერო განათლების სამინისტროს მიერ 8 მარტს დამტკიცებულ წესების წინააღმდეგ, ამიტომ 11 მარტიდან ახალ განკარგულებამდე ინსტიტუტში სწავ-

ლი და მეცადინეობა შეაჩერეს. ყრილობაში მონაწილეობის მიმღებნი პროფესორთა სადისციპლინო სამართალში მისცეს. საქმის განხილვის შემდეგ, სასამართლომ 345 ყურის მგდებელს სასჯელი გადაუწყვეტა. აქედან 28 ქალს მიუსაჯა სხვა და სხვა სასჯელი, ისეთი სასჯელი, რომელიც თუმცა შენიშვნის გამოცხადებას აღემატება, მაგრამ ინსტიტუტიდან გამორიცხვას მაინც ვერ უდრის. დანარჩენ 317 ყურის-მგდებელს გადაეწყვიტა შენიშვნის გამოცხადება. უფრო მეტად შენიშნული 28 ქალი დირექტორმა დაიბარა განაჩენის მოსასმენად. მაგრამ ამათგან 27 დირექტორის წინადადებას არ დაემორჩილა. საერო განათლების სამინისტროს გამგემ ყურის მგდებელთა ასეთ საქციელში დაინახა ხელ-ახლად დისციპლინის დარღვევა; ამასთან ყურის-მგდებელთ თავიანთის საქციელით დემონსტრატიულად განაცხადეს, რომ პატივს არა სცემენ პროფესორთა სამართალს და არა ჰსურთ დაემორჩილონ კანონიერ წეს-რიგს. ყველა ამის გამო სამინისტროს გამგემ საჭიროდ დაინახა ამ 27 ყურის-მგდებელთაგან ზოგიერთა დათხოვნა. 27 მარტს ინსტიტუტში სწავლა ხელ-ახლა დაიწყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტში წესიერება დაირღვა 18 მარტს, თუმცა სწავლა ამ დღეს არ შეწყვეტილა. 18 მარტს შეიკრიბა 500-მდე სტუდენტი (უნივერსიტეტში სულ 4,000 სტუდენტია); ამათ უთუოდ წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ყრილობა. ეს სტუდენტები 12 საათზე შეცვივდნენ შესავალ კარებიდან კიბის პატარა მოედანზე, სააქტო ზალის პირდაპირ, სადაც უკანონო ყრილობა გამართეს. ინსპექციამ მოსთხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ შეკრებილთ ყურადღება არ მიაქციეს. მოვიდნენ რექტორი და სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და სცდილობდნენ წესიერების აღდგენას, მაგრამ სტუდენტები იმათ სიტყვებს და დარიგებას ყვირილითა და უზრდელ პროტესტებით მიეგებნენ. ყრილობამ ორ საათს გასტანა. სალაპარაკო საგნად ყრილობას ის უწესოებანი ჰქონდა, რომელიც რამდენისამე დღის წინად დედათა სამკურნალო ინსტიტუტში მოხდა; აგრეთვე ისეთი საგნები, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს უნივერსიტეტთან. ამის გამო 68 სტუდენტის წინაამდეგ საქმე აღიძრა პროფესორთა სადისციპლინო სასამართლოში. ამასთან სასამართლოში საქმის წესიერად წარმოებისათვის და აგრეთვე იმათ დასაცველად აგიტაციისაგან, ვისაც 18 მარტის უწესოებაში მონაწილეობა არ მიუღიათ (შესაძლებელი იყო, აგიტატორებს ყოველი ღონე ეხმარათ, რომ ხელ-ახლა უკანონო ყრილობანი მოეხდინათ), სწავლა უნივერსიტეტში დროებით შეაჩერეს, ისევე, როგორც დედათა ინსტიტუტში მოხდა 10 მარტის ყრილობის შემდეგ. პროფესორთა სასამართლომ თავის სხდომებზე განიხილა საქმე ამ 68 სტუდენტის შესახებ, მოისმინა მოწმეთა ჩვენებანი, აგრეთვე განმარტებანი იმ ბრალდებულთა, რომელნიც სასამართლოში გამოცხადნენ, და დაადგინა: ოთხის სტუდენტის შესახებ საქმე შეაჩეროს ამ სტუდენტების ავადმყოფობისა და უწყების დროზე არ ჩაბარებისა გამო; 4 სტუდენტი უდანაშაულოდ იცნოს; დანარჩენი 60 სტუდენტი დამნაშავედ იცნოს ყრილობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამათგან, დანაშაულობის დაგვარად, სასამართლომ გადაუწყვიტა: 14-ს სრულიად დათხოვნა უნივერსიტეტიდან, ისე კი, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება არ ჩამოერთვათ, სასჯელთა წესების მე-7 მუხლის ძალით; 21 სტუდენტს დროებით დათხოვნა უნივერსიტეტიდან, სახელდობრ: 7 კაცს—1904 წლის 15 აგვისტომდე და 14 კაცს—1903 წლის 15 აგვისტომდე; 7-ს ზნეობრივად გაკიცხვა და თავისუფალ ყურის მგდებლებში ჩარიცხვა; 4-ს თავისუფალ ყურის მგდებლებში ჩარიცხვა; 12 სტუდენტს—საყვედური და 2 სტუდენტს—შენიშვნა. ეს განაჩენი, მზრუნველის მიერ დამტკიცების შემდეგ, სისრულეში მოიყვანეს. 28 მარტს ხელ-ახლა გაიხსნა უნივერსიტეტის წიგნთ-საცავი, კანცელარია და ზოგიერთი ლაბორატორია, აგრეთვე სადგომები სამეცნიერო საზოგადოებათათვის. სააღდგომო ვაკაციების მოახლოვების გამო (ვაკაციები იწყება 30 მარტს), ლექციებს აღარ წაიკითხავენ უნივერსიტეტში, მაგრამ ეგზამენები მოხდება დამტკიცებულ და გამოცხადებულ წეს-რიგის თანახმად.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, როდესაც წესიერი მსვლელობა საუნივერსიტეტო ცხოვრებისა არა ერთხელ დაირღვა, სამოსწავლო მთავრობამ და ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია, რომ მოუსვენარი სტუდენტები ყოველთვის იკრიბებოდნენ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასადილოში, სადაც არჩევდნენ საკითხებს ორგანიზაციებისა, ეგრედ წოდებულ სტუდენტთა გაფიცვისა, ობსტრუქციისა და სხვათა შესახებ. ამის გამო ეს სასადილო დაიკეტა. ამ ჟამად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, გამოირკვა, რომ როგორც 1899, 1900 და 1901 წლ., ისე 1902 და 1903 წლებში დასახელებულ სასადილოში იმის გარდა, რომ სტუდენტები აღკრძალულ სიმღერებს ამბობდნენ და წესიერებას არღვევდნენ, ხშირად ახალგაზრდათა წრეები ყრილობებს ახდენდნენ ხოლმე. ამ ყრილობებზე ლაპარაკი ჰქონდათ არა მარტო უწესოების მოხდენაზე უნივერსიტეტში, არამედ ქუჩებში დემონსტრაციის გამართვაზედაც. ამ სასადილოში გარეშენიც დადიოდნენ, თუმცა წესებით ეს აკრძალული იყო. ხშირად იმავე სასადილოში ერთმანეთს ჰხვდებოდნენ არა საიმედო პირნი თავიანთ მავნე მოქმედების შესახებ მოსალაპარაკებლად. დასასრულ, ამ სასადილოში საჯაროდ კითხულობდნენ და ავრცელებდნენ აღკრძალულ გამოცემებს. როგორც გამოირკვა, 18 მარტს უნივერსიტეტში მომხდარი ყრილობა წინადვე მოეწყოთ და მონაწილეთა უმრავლესობა პირდაპირ სტუდენტთა სასადილოდან მისულიყო. ზემოდ ნათქვამიდან ნათლად ირკვევა, რომ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება უძლურია წესიერების დამყარებისთვის სტუდენტთა სასადილოში. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრისა და საერო განათლების მინისტრის შეთანხმების შემდეგ დასახელებული სასადილო დაიკეტა.

უწესოება სოჭაში

„კავკაზ"-ში დაბეჭდილია:

დაბა სოჭაში, ჩერნომორის გუბერნიაში, 17 მარტს, ღამით, სატუსაღო სახლში გარდაიცვალა სოფელ „მე-3 როტის" მცხოვრებელი სვინოსტრიგინი, რომელიც წინა დღეს მთვრალი დაეტუსაღებინათ.

ადგილობრივმა უფროსმა და ოლქის ექიმმა გარდაცვალებულის გვამი გასინჯეს და ექიმმა ისე სცნა, ვითომ სვინოსტრიგინი სიმთვრალისაგან მომკვდარიყოს.

შუადღის დროს, ხალხმა—ას კაცამდე იქნებოდა (იმათ შორის ბევრი მთვრალიც ერია)—შეაყენეს სვინოსტრიგინის გვამი, რომელიც სატუსაღოდან, ოლქის ექიმის განკარგულებით, გასაჭრელად მიჰქონდათ. ხალხმა გამოუცხადა სოჭის ოლქის უფროსს, გვეშინიან სვინოსტრიგინი გაუჭრელად არ დაასაფლავონო, რადგან გარდაცვალებული პოლიციელებმა მოჰკლეს სატუსაღოშიო. თუმცა ხალხს არწმუნებდნენ და უხსნიდნენ, გვამის გაუჭრელად არ დავასაფლავებინებთ სვინოსტრიგინსაო, მაგრამ ხალხი მაინც სატუსაღოსკენ გაქანდა, პოლიციელებს სცემა, ქვით სატუსაღოს კარები დაამტვრია და ყველა დატუსაღებულნი გაანთავისუფლა; ერთი ქვა ოლქის უფროსს მოჰხვდა ხელში, მეორე კიდევ ფოთის პოლკის პორუჩიკს კისერში; ერთი პოლიციელი ძლიერაა ნაცემი.

ჯარის რაზმი მოვიდა და ხალხი გაფანტა.

დატუსაღებულთაგან მხოლოდ 8 უმნიშვნელო ტუსაღი დაიმალა.

ექიმებმა სვინოსტრიგინის გვამი გასჭრეს და სცნეს, რომ სვინოსტრიგინისათვის დატუსაღების დროს ძლიერ ეცემნათ და სწორედ ამ მიზეზით მომკვდარიყო და არა სიმთვრალისაგან.

დამნაშავე პოლიციელები სამართალში იქმნებიან მიცემულნი; ამ საქმის თაობაზე ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს პროკურორის მონაწილეობით გამოძიება სწარმოებს; გამოძიებით გამორკვეული იქმნება აგრეთვე ისიც, თუ რამდენად დამნაშავენი არიან ის პოლიციის უფროსი, რომელსაც სატუსაღო სახლი ებარა და ის ექიმი, რომელსაც სვინოსტრიგინის გვამი გაესინჯა; მანამდე კი ეს პირები თანამდებობიდან გადააყენეს.

პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი აგრეთვე ის პირნიც, რომელთაც უფრო მეტი მონაწილეობა მიიღეს უწესოებასა და თვითნებობაში.

საზღვარ-გარედ

მაკედონია. ბოლგარიაში დახურულ მაკედონურ კომიტეტს სამი გამოჩენილი წევრი ჰყავდა; ესენი არიან—სტანიშევი, რადევი და ტატარჩევი. სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწეებს ეხლაც დიდი კავშირი აქვთ მაკედონელ რევოლიუციონერების ორგანიზაციასთან და მთელის თავიანთ ძალ-ღონით ემსახურებიან თანამემამულეთა განთავისუფლების საქმეს.

სტანიშევი გამოჩენილი ხუროთ-მოძღვარია. სტანიშევთან ერთად განთქმული არიან რადევი და ტატარჩევიც. ორივეს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ტატარჩევი ექიმია და დიდი პრაქტიკაც ჰქონდა ქ. სალონიკში. აქ ოსმალეთის მთავრობამ იგი დააპატიმრა, რადგან დაჭრილ რევოლიუციონერებს სწამლობდა. ორი წლის განმავლობაში ტატარჩევი მცირე აზიის ერთ ციხეში იყო დამწყვდეული; შემდეგ განათავისუფლეს და ბოლგარიაში მოვიდა. სიმონ რადევს საფრანგეთში აქვს განათლება მიღებული; იგი დიდხანს სცხოვრობდა მაკედონიაში და ხალხს თვით-ცნობიერებას უღვიძებდა. შემდეგ ისევ პარიზში წავიდა და აქ ფრანგულ ენაზე ჰბეჭდავდა გაზეთს („მაკედონური მოძრაობა"); ეხლა ბოლგარულ „ვეჩერნიაა პოჩტა"-ში მუშაობს და ამ გაზეთს 15 ათასი ხელის მომწერი ჰყავს. ეხლა ხან რადევს ულაპარაკნია „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის კორესპონდენტთან და შემდეგი უთქვამს თავისა და თავის ამხანაგების სახელით: „ჩვენ მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს: მიეცეს მაკედონიას ისეთი ადმინისტრაცია, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ოსმალეთის ფაშებისაგან. ევროპაში ამბობენ, ვითომც ჩვენ გვსურდეს ბოლგარიასთან შეერთება, მაგრამ ეს დიდი ტყუილია; ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ასეთი შეერთება; მაკედონია ავტონომიური პროვინცია უნდა გახდეს და არავითარი სახელმწიფო კავშირი არ უნდა ჰქონდეს ბალკანეთის არც ერთ სამთავროსთან. თუ ევროპიელი დიპლომატები იმას გაიძახიან, რომ ავტონომიურ მაკედონიაში სერბები, ბოლგარელები, ბერძნები და ვლახები ერთმანერთს შესჭამენ, ესეც ტყუილია: მაკედონელები კარგად სცხოვრებენ ერთად და ერთმანერთისაც გაეგებათ."

ჰოლანდია. რკინის გზების მუშათა გაფიცვამ მეტად სერიოზული მდგომარეობა გამოიწვია ჰოლანდიის ყველა დიდ ქალაქებში. ამსტერდამში უკვე რამდენიმე შეტაკება იყო გაფიცულებსა და ჟანდარმებ შორის; ორივე მხარეზე ბევრი დაჭრილი იყო; მთავრობა ჯარის რიცხვს უმატებს.

გაფიცულებს სულ ახალ-ახალი მუშები ემატება; ამსტერდამის ქალაქის თვით-მმართველობა უკვე ემზადება იმ შემთხვევისათვის, თუ ქალაქის ქარხნების მუშებიც შეუერთდებიან რკინის გზის მუშებს. მატარებლების მიმოსვლა უკვე მეტად გაძნელებულია; ჩრდილოეთის რკინის გზებზე კი მიმოსვლა სრულებით შეჩერებულია. პარიზიდან დიდ-ძალი ავტომობილები გამოიწერეს, რომ ფოსტის მუშაობა არ შეჩერდეს.

გაფიცულებს დიდი დახმარება მოუდის ინგლისიდან და გერმანიიდან; ინგლისის ტრედ-უნიონისტებმა სხვაზე ადრე გამოუგზავნეს ჰოლანდიელ თანამოძმეთ 200 ათასი ფრანკი და შემოუთვალეს, რომ ყოველ კვირას ამდენსავე გამოჰგზავნიან.

ჰოლანდიელ სოციალისტების მეთაური ტროელსტრა გერმანიაში წავიდა და დიდი იმედიც აქვს, რომ დიდ-ძალ ფულს შეაგროვებს.

რკინის გზის სამართველომ შეატყობინა მუშებს, რომ ვინც დანიშნულ ვადაზე მუშაობას არ დაიწყებს, დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან.

ახალი ამბავი

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** ვიცე-პრეზიდენტმა ცნობა მიიღო მიწათ-მოქმედების მინისტრისაგან, რომ 24 ათასი მანეთი გამოგზავნილია იმ ვალის გასასტუმრებლად, რომელიც საზოგადოებას გამოფენის დროს დაედო.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს ბათუმის მახლობლად გამართოს **ჩაის ქარხანა.**

◆ **კავკასიის მთავარ-მართებელი,** როგორც „ბაკ. იზვ."-ს შეუტყვია, პეტერბურგიდან ამ თვის ბოლო რიცხვში ჩამოვა.

◆ რადგან კავკასიის **ფოსტა-ტელეგრაფს** შედარებით მცირე შტატი ჰყავს და მუშაობა კი დიდია, უმთავრეს სამმართველოს მოუთხოვნია კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქებისათვის შესაფერ მოხსენებისა და შუამდგომლობის წარმოდგენა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსს ბ-ნ **იგნატოვსკის** განზრახვა აქვს ააგოს ტფილისის სადგურთან საგანგებო სახლი, რომ ტფილისში ჩამოსულ წვრილ მოხელეებს ფულის დახარჯვა არ დასჭირდეთ სასტუმროში დადგომით.

◆ ხონის სამასწავლებლო **სემინარიის დირექტორად** დაინიშნა ბ-ნი დელიცკი.

◆ **სამხედრო სასწავლებელთა** უმთავრეს სამმართველოს გადაუწყვეტია ჯამაგირები მოუმატოს კადეტთა კორპუსებში მოსამსახურეთ.

◆ **ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ** ექსკურსიიდან ქალთა პირველ გიმნაზიის მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლენი. ექსკურსანტები ბათუმსა, სოხუმსა, ახალ ათონსა და სხვაგან ყოფილან.

◆ 18 აპრილიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე **მატარებლების მიმოსვლის** საზაფხულო წესი იქმნება შემოღებული.

◆ **ჩვეულებრივ ტფილისის პოლიცმეისტერმა** ეხლაც გამოსცა ბრძანება, რომ **პოლიციელებმა** არ გაბედონ **დღესასწაულის მისალოცად სახლებში სიარული.**

◆ ამ სამის კვირის წინად პოლიციას ღამის დაზვერვის დროს სხვებთან ერთად შეუპყრია ვინმე აკოფოვი, 18 წლისა. აკოფოვს პასპორტი ჰქონია, მაგრამ პოლიციის შიშით დაუმალავს და თავისთვის მურადოვი დაურქმევია; პოლიციას იგი ციხეში ჩაუსვამს, როგორც საეჭვო პირი. ბოლოს აკოფოვს უთქვამს თვისი ნამდვილი ვინაობა და პასპორტიც გამოუჩენია, მაგრამ პოლიციას არ დაუჯერებია და გამოძიება დაუწყია. მხოლოდ გუშინ-წინ გაათავდა გამოძიება და აკოფოვიც გამოუშვეს.

წვრილი ამბები

ახალი ტრესტი. ამერიკელები ახალ უზარმაზარ ტრესტის დაარსებას შესდგომიან: უნდათ, რომ მთელ ქვეყნიერობაზე გაზით განათების საქმე ერთის ამხანაგობის ხელში იყოს. ახალ ტრესტის მეთაურები განთქმული ამერიკელი მილიონერები არიან: ჯონ როკფელერი, მილსი, ანტონ ბრედი, ბილინგსი და ფლოური. ამ ტრესტს ძირითადი თანხა 1,000 მილიონ დოლლარზე (1 დოლარი—2 მან. ნაკლები არ ექნება. ჯონ როკფელერმა გამოაცხადა, ჩემ წილად 300 მილიონ დოლარის აქციას ავიღებო. ამ დღეებში ბილინგსი ამერიკიდან პარიზს წავა, რომ ტრესტის საქმე საბოლოოდ მოაწყოს. ბილინგსი კაპიტალისტი-მილიონერია, გაზის განათებით საქმეც მშვენიერად იცის. ბილინგსმა ახალი საშუალება მოიგონა მანათობელ გაზის მოსამზადებლად; ამის ქარხანაში, ჩიკაგოში, გაცილებით უკეთესი გაზი მზადდება, ვიდრე ევროპის ქარხნებში.

* *

შიმშილი ჩინეთში. შეერთებულ შტატების კონსული კანტონიდან იწერება ნიუ-იორკში: კვანსის პროვინციაში საშინელი შიმშილობაა; მშობლები საკუთარ შვილებსა ჰხოცვენ და სჭამენ.

* *

26 წელიწადი ტყვედ. ოდესაში ეხლა-ხან გემით მისულა ვიღაც კრავცოვი. აი, რა უამბნია ამ კრავცოვს: რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მსროლელთა მე-16 რაზმში ვიყავ და ომში მონაწილეობას ვიღებდი. შიპკასთან ტყვედ წამიყვანეს ოსმალებმა და სინოპის საპყრობილეში დამამწყვდიეს. 20 წელიწადი ვიყავ ამ საპყრობილეში, შემდეგ კონსტანტინოპოლის საპყრობილეში გადამიყვანეს და იქ დამტოვეს ექვსი წელიწადი. ბოლოს, კურბან-ბაირამის დღესასწაულის დროს, სულთანის ბრძანებით განმათავისუფლეს, მაგრამ კონსტანტინეპოლში არ დამტოვეს და საბერძნეთს გამისტუმრეს. იქ ჩვენ ელჩს მივმართე, რომელმაც გემით რუსეთში გამომისტუმრა.

ეროვნული

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აპრილი.

კონსტანტინოპოლი. განაჩენი ჯერ არ უცნობებიათ ოფიციალურად რუსეთის საელჩოსათვის.

კასტორიის ოლქში შეტაკება მოუხდათ ოსმალოთა რაზმს და 75 ბოლგარელს. ბოლგარელნი გაიქცნენ. 4 ოსმალელი მოჰკლეს.

სოფია. გენერალი ცონჩევი ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ. პოლკოვნიკი იანკოვი განთავისუფლეს.

მოსკოვი. 3 აპრილს მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ უავგუსტოესს შვილებითურთ წმ. საიდუმლო მიიღეს.

3 აპრილს მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ხარების ეკკლესიაში ბრძანდებოდნენ.

რომი. პრინეტიმ გადასწყვიტა თანამდებობიდან გადასდგეს.

ბახმუტი. გორლოვის ქარხანაში დაიწვა სახელოსნოები. ზარალი 400,000 მანეთია. დაზღვეულია 317,000 მანეთად.

ალჟირი. მაროკოს საელჩომ პრეზიდენტს ადრესი გადასცა, რომლითაც სულთანი ეგებება ლუბეს. ადმირალ კრიუგერის მოსვლის გამო პრეზიდენტმა განაცხადა, დიდად მოხარული ვარ ხელმწიფე იმპერატორის ყურადღებისათვისაო.

4 აპრილი.

პეტერბურგი. ტვერის ვიცე-გუბერნატორი და ფინანსთა სამინისტროს აგენტი ლონდონში ტატიშჩევი დაინიშნენ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრებად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, აიკრძალოს სამის თვით გაზეთ „ურალეც“-ის გამოცემა.

რუსეთის საელჩოს გამგის დეპეშა მიტროვიციდან: 1 აპრილს შჩერბინას გვამი სადგურზე გაასვენეს. საელჩოდან პროცესია დიდით გამოვიდა. გააცილეს პრიზრენის მიტროპოლიტმა, 9 მღვდელმა, კომენდანტმა საიდ-ბეიმ, სერბიის ქალებმა, ოფიცრებმა და კავასებმა ამალით. 9 ოფიცერს ორდენები მიჰქონდა, 5 ნოტაბლს — გვირგვინები. გვამი უსკიუბამდე რაზმმა გააცილა.

სოფია. მთავარმა დღეს პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც აცხადებს, რომ თავისი საქმეების გამო საზღვარ-გარედ მივდივარ და მართვა-გამგეობას ვანდობ მინისტრთა საბჭოსაო. მთავარი მენტონში მიდის, სადაც იმისი შვილები არიან.

ალჟირი. საგანგებო სადილის დროს ლუბემ სთქვა, მოხარული ვარ, რომ რუსის სახელმწიფოს ესკადრა ამ ჟამად აქ არისო. ამასთან ლუბემ მადლობა განუცხადა ხელმწიფეს, რომელმაც მოსაგებებლად გემები გაუგზავნა.

კონსტანტინოპოლი. დიდმა ვეზირმა სიხარული განუცხადა სერბიის ელჩს იმის გამო, რომ სერბია წესიერად იქცევა და ყურადღებას არ აქცევს მეზობელ ადგილებში მომხდარ ამბებს.

ლონდონი. „მორ. პოსტ“-ს შანხაიდან ატყობინებენ, რომ მოლაპარაკება ამერიკასა და ჩინეთის შორის ხელ-შეკრულობის დადების შესახებ სრულიად შესწყდა.

მალტა. მეფე ედუარდი მოვიდა.

ნიუ-იორკი. ტეხასში დაიწვა ნავთის 256 კოშკი. ზარალი 10 მილიონ დოლარამდეა.

კონსტანტინოპოლი. ბოლგარიის ეგზარხოსმა, პორტას წინადადებით, დაჰგზავნა ეპისტოლე, რომლითაც ურჩევს ხალხს მოთმინება იქონიონ და დაეხმარონ მთავრობას რეფორმების განხორციელებაში.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ხილმი-ფაშა კოსოვის ვილაეტში ქრისტიანეთა პოლიციას აწესებს.

პეტერბურგი. დაინიშნენ: ხარკოვის გუბერნატორი თავ. ობოლენსკი — მოხელეთ შინაგან საქმეთა მინისტრთან; ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი დერევიცკი — იმავე უნივერსიტეტის რექტორად.

რომი. მეფე ედუარდი 14 აპრილს მოვა და სამ დღეს დარჩება აქ.

ალჟირი. ლუბემ დაათვალიერა ალჟირის მიდამოები და მონაწილეობა მიიღო სადილში, რომელიც გამართეს იმის პატივსაცემლად. საღამოთი ლუბე ორანში წავიდა.

კონსტანტინოპოლი. მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწე მარშალი ომერ-რუშდი-ფაშა დაინიშნა იმ ჯარის უფროსად, რომელიც მიტროვიცას, პრიზრენსა და ვერისოვიჩშია.

ტაშკენტი. 6 შეიარაღებული დანიღბ-ნამოფარებული კაცი ნობელის კანტორაში შეცვარდა, კასა გაძარცვეს და მძიმედ დასჭრეს დარაჯი. ავაზაკები დაიმალნენ.

ჩერნიგოვი. შჩერბინას გვამი, გარდაცვალებულის სურვილის თანახმად, სამების მონასტერში იქმნება დასაფლავებული.

კონსტანტინოპოლი. შჩერბინას გვამს შაბათს მოიტანენ და პანაშვიდის შემდეგ გემით რუსეთში წაიღებენ.

ბელგრადი. ირწმუნებიან, რადიკალ-მინისტრებს მალე სამსახურიდან დაითხოვენ და იმათ მაგიერ მთავრობის მომხრე ლიბერალებს დააყენებენო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 მარტს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^3/_8$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	101 „
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	100$^1/_4$ მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95$^3/_8$ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338$^1/_2$ „
5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	297 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90$^3/_8$ „
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83$^1/_4$ „
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც.	91$^1/_2$ „
4$^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	87 „
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	201 „

მიმოსვლა რკინისის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ლოგინი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდაიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, [illegible] ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიოუსტისა.

განცხადებანი

ყვირილის თეატრის ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოჰხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეატრის შენობის გაკეთება მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა; მასალა ამხანაგობისა იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ჭიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—10)

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირმ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლისათვის. (შც. 1—7)

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან

ხეხილები

1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ ჯიშისა.

მიჰმართეთ აფრინიანცს მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილების აწყობია. (10—10)

კახური ღვინის საწყობ-სარდაფი

„კურდღელაური“

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ ნამდვილი საუკეთესო კახური ღვინო მსურველთ დაეთმობათ ბოთლი 20, 25 კ. და სხვა ფასად.—ვედრო 2 მ. 10 კ., თუნგი 70 კ. და მრავალ სხვა-და-სხვა ფასებით.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ 8 ნაწილში, ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზედ, ვაბაევის სახლში № 6.

პატივისცემით ი. ა. ხაზუტოვი.

ქ. ტფილისში (2—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს ყველა წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—16)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87ა.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სალოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჰირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელსაპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—19)

[illegible] 5 [illegible] 1908 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)